ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

1921 წლიდან

შაბათი 14 ივლისი № 79 (11565) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

## საინფორმაციო ცნობა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

10 ივლისს საღამოს სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ვ. ა. მედვედევის, — სკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების — „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“ — პროექტის მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელის ინფორმაცია.

შემდეგ გაიმართა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევნები.

ამის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა განაგრძეს სკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განაცხადების პროექტის განხილვა.

საღამოს სხდომის დასასრულს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია მ. ს. გორბაჩოვი. დელეგატებმა დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა.

1990 წლის 11 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომა მიმდინარეობდა ა. ნ. მუთალიბოვის — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ყრილობაზე გრძელდებოდა რეზოლუციათა პროექტების განხილვა.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა მ. ს. გორბაჩოვი — სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

დელეგატებმა განიხილეს სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატურები. ფარული კენჭისყრის სიაში შეტანილი იყვნენ ა. ს. დუდირევი, ვ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი.

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატურები და კენჭისყრის სიაში დატოვეს ვ. ა. პროხოროვი და ბ. კ. პუგო.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოიწონა საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“. შემდეგ მიიღეს დადგენილება, რომელიც ყველა კომუნისტს ავალებს იხელმძღვანელონ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მიღებამდე.

ბოლო სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი უძღვებოდა, გაიმართა კენჭისყრა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო.

●

1990 წლის 12 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ა. ი. ლუკიანოვი. დელეგატებმა მოისმინეს ხმის დამთვლელი კომისიის ცნობა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და სკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

ხმის უმრავლესობით სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილედ, სკპ ცენტრალური კომიტეტის წევრად არჩეულია ვ. ა. ივაშკო, სკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, სკპ ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრად — ბ. კ. პუგო.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ოქმები.

შემდეგ ყრილობის მიერ წინათ საფუძვლად მიღებული სკპ წესდების პროექტის შესწორებები და დამატებები გააანალიზა კომისიის ხელმძღვანელმა მ. ს. გორბაჩოვმა.

დელეგატებმა განაგრძეს დისკუსია პროექტის გამო. საფუძვლიანი და პრინციპული აზრთა გაზიარების შემდეგ განხილვა შეწყდა. დელეგატების მიერ წამოყენებული წინადადებანი გადაეცა კომისიას დასახვეწად.

სხდომის დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიჟკოვმა ყრილობის მონაწილეებს აცნობა 11 ივლისს გამართული მეშახტეთა გაფიცვის ამბავი. ყრილობამ ცნობად მიიღო ეს ინფორმაცია.

საღამოს სხდომის დასაწყისში ყრილობამ განიხილა და მიიღო რეზოლუცია „განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში სკპ პოლიტიკის შესახებ“. შემდეგ სხდომა მიმდინარეობდა მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით.

ყრილობა შეუდგა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში კანდიდატურების დასახელებასა და განხილვას.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ონტაქტები, თანამშრომლობა

## XI საუკუნის შემოქმედნი



**სსრ კავშირის** მეცნიერებათა აკადემიამ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ახალგაზრდული ტურიზმის ბიურომ „სპუტნიკმა“ 1987 წლის დამლევს დააარსეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის პროგრამის „ბავშვები — XXI საუკუნის შემოქმედნი“ საზოგადოებრივი ბიურო, რომლის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს გაცვლას ორი ქვეყნის მოსწავლეებს შორის.

სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის ინიციატივით სამეფო კოსმონავტ კომაროვის სახელობის № 19 საშუალო სკოლა და გულრიფშის საშუალო სკოლა წელს მასპინძლობენ ამერიკის იუტის შტატის ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტიდან ჩამოსულ თანატოლებს.

სტუმრების და მასპინძლების ურთიერთობა გულთბილია, ისინი ივსებენ თავიანთი ენების ცოდნას, ერთმანეთს უზიარებენ საკომპიუტერო ტექნიკის ათვისების გამოცდილებას. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აკეთებს ყველაფერს, რათა ამერიკელ სტუმრებს დიდი ხნით დაამახსოვრდეთ აქ ყოფნა. ბავშვები აწყობენ ექსკურსიებს სოხუმში, იყვნენ აფხაზეთის თვალწარმტაც ადგილებში: რიწის ტბაზე, გაგრაში, ბიჭვინთაში, ახალ ათონში. სოხუმის კომაროვის სახელობის № 19 საშუალო სკოლის საკომპიუტერო კლასში.



**სურათზე:** რიწის ტბაზე ექსკურსიის დროს; სოხუმის სკოლის საკომპიუტერო კლასში.

**ბორის სოკოლოვის** ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## პოლემიკა

# განმარტება

ამ ხუთიოდე თვის წინ დავწერე ერთი პატარა ფელეტონი სახალხო დეპუტატ ფ. ბურლაცკიზე. ფელეტონში გაკრიტიკებული იყო ბურლაცკის მიერ წამოყენებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მოსკოვის ოლქში ჰოლანდიელი ფერმერების ჩამოსახლებას. მართალი გითხრათ, დიდი იმედები არ მქონდა, რომ ფელეტონს სადმე დამიბეჭდავდნენ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გავაგზავნე ორ-სამ რედაქციაში. ჩემდა გასაკვირად ფელეტონი დამიბეჭდა „ლიტერატურნაია როსსიამ" (19 იანვარი, 1990 წ.) და აი ორი თვის თავზე ამ ფაქტს გამოეხმაურა მოზრდილი სტატიით „ახალგაზრდა ივერიელის" (27 მარტი, 1990 წ.) ფურცლებზე ჟურნალისტი ფ. კოჟიაშვილი. სტატიის ძირითადი აზრი ასე შეიძლება გამოითქვას: რა ჩვენი (ქართველების) საქმეა, თუ როგორ და რა გზებით გადაწყვეტს თავის ეკონომიკურ-სამეურნეო პრობლემებს მოსკოვი. ვფიქრობ ამჟერად ეს მცდარი და ჩვენთვის მეტად საზიანო შეხედულებაა. და აი რატომ. ვთქვათ და მოსკოვის ოლქში წარმატებით განახორციელეს გარეშე კოლონისტების ჩამოსახლება, მაშინ თბილისის ჯერიც შეიძლება დადგეს და მოსკოვის პრეცედენტი უკვე შეიძლება გამოდგეს მძლავრ არგუმენტად იმისათვის, რომ თბილისში ამა თუ იმ საბაბით ჩამოასახლონ გარეშე კოლონისტები. როგორც ვხედავთ, კოჟიაშვილს თავისი სტატია ბოლომდე კარგად ვერ დაუხვეწია აზრობრივად. და ზოგი რამ ვერ გაუთვალისწინებია. მიუხედავად ამისა, ალბათ, ჩემთვის კოჟიაშვილის კრიტიკა ნაწილობრივ შეიძლება იყოს მისაღები, მაგრამ აი კრიტიკის ფორმა კი, ნუ მიწყენს ნურავინ და, სავსებით მიუღებელია.

„ლიტერატურნაია როსსიას" რედაქციამ ჩემს ფელეტონს უამრავი კუპიურები გაუკეთა, რის გამოც ფელეტონმა ბევრი რამ დაკარგა: სახელდობრ მე გატარებული მქონდა ის აზრი, რომ ბურლაცკის პროექტის მოსკოვისათვის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში იქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ ამ მოდელს გაავრცელებდნენ სხვა მსხვილ ქალაქებზე და რესპუბლიკურ ცენტრებზე.

ისე კი, თუ თანმიმდევრულად განვავითარებთ კოჟიაშვილის შეხედულებებს (მე კი, ვიმედოვნებ, ეს არ მოხდება), მაშინ ჩვენ (ქართველებმა) არაფერი არ უნდა დავწეროთ, ვთქვათ, ძველი რომის იმპერიის შესახებ (გვეტყვიან: „რა დროს ძველი რომია, როცა ჩვენ აგერ რა დღეში ვართ") ან თანამედროვე მოვლენებზე ლიტვაში (გვეტყვიან: „რა გვინდა ლიტვაში, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ").

**ირაკლი გუხნიკაშვილი,**
**რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.**

# სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ასოციაცია „ამაღლების"

# განცხადება

საქართველოში შექმნილი რთული საზოგადოებრივი სიტუაციის ძირითადი მიზეზია ზნეობის დეფიციტი, გამოწვეული ორსაუკუნოვანი უცხოთა ბატონობით და ქართველობისთვის არასასიამოვნო თანამგზავრით — ურთიერთ მტრობით, შურით, ორგულობით, პირველობის სინდრომით, რამაც განსაკუთრებით მძაფრი გამოხატულება ჰპოვა დღევანდელობაში. ყოველივე ამის გამო იმრავლა დანაშაულობამ, უზნეობამ და განუკითხაობამ. ქაოსი შეიმჩნევა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში: ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, დაწესებულება-ორგანიზაციებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

ასოციაცია „ამაღლებას", რომლის მიზანია ერის სულიერი თვითშეგნების ამაღლება (შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის გზით), მიაჩნია, რომ აუცილებელია გადაიჭრას შემდეგი პრობლემები:

1. მიღწეული იქნას ჯანსაღი ეროვნული ძალების ერთიანობა პრინციპით—პრეროგატივა ინტელექტსა და გამოცდილებას.

2. შეიქმნას ერთიანი საზოგადოებრივი აზრი და გამოაშკარავებული იქნან ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი შეიარაღებული, ტერორისტული, კორუმპირებული, პირადი გამორჩენისათვის მებრძოლი დაჯგუფებები და პირები. აღიკვეთოს მათი თარეში საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

3. საზოგადოებას მიეცეს საშუალება თავად განსაჯოს სხვადასხვა პარტიათა და დაჯგუფებათა ლიდერებისა და ხელმძღვანელი პირების ინტელექტუალური მონაცემები, მათი განსწავლულობისა და პროფესიონალიზმის დონე. გამოვლენილი ცრუ ლიდერები და ცრუ პარტიები ჩამოშორებული იქნან ეროვნულ მოძრაობას.

4. ქართველობას მართებს სიფრთხილე და გონიერება, რადგან დღესაც გვყავს მტრის კარზე მომსახურე დაუდ-ხან უნდილაძეები, პირველობის მოტრფიალე და ერისკაცების ვერ ამტანი შადიმანები და ლიპარიტები, გვყავს ყვარყვარეებიც. ამიტომ ყოველივეს დღესვე უნდა მიეცეს თავისი სახელი.

ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო • მოქმედებათა ჩამდენთ უნდა დაეკისროთ ზნეობრივი სასჯელი.

6. ვინაიდან სათანადო ორგანოები არ მიმართავენ ქმედით ღონისძიებას ტერორის, ძალადობის, შეიარაღებული თარეშის, უზნეობის წინააღმდეგ და ფაქტობრივად ხელმძღვანელობენ შაჰ-აბასის ცნობილი ფორმულირებით — „ქართველი თავად გაუსწორდება ქართველს", ამიტომ, საქართველოს ხელმძღვანელობისა და ამ ორგანოთა ასეთი პოლიტიკა უნდა ჩაითვალოს როგორც შეგნებულად მიმართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ, როგორც ეროვნული იდეალების ღალატი. მათვე უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა „დაჩრდილული" დანაშაულებებით გამოწვეულ შედეგებზე. ასოციაცია „ამაღლებას" ერის ზნეობრივი ამაღლებისათვის აუცილებელ პირობად მიაჩნია:

ა. შემოქმედებითი მოღვაწეობა, ტრადიციულ სულიერ ღირებულებათა აღორძინება. ამ მიზნით ასოციაციაში ერთიანდებიან ლიტერატორები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეები, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები; ყველა, ვინც იზიარებს ასოციაციის მიზნებსა და მათი განხორციელების გზებს. ასოციაცია ეწევა გამომცემლობით საქმიანობას.

ბ. მუშაობა მოზარდებთან, მათი ზიარება ეროვნული ტრადიციული კულტურის საგანძურთან, ქრისტიანულ ეთიკასთან და ზნეობასთან. ამავე მიზნით ასოციაციამ აღადგინა და გამოუშვებს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს", რომელიც გამოდიოდა 1890 წლიდან 1923 წლამდე.

გ. ახალგაზრდობის ცხოვრებისა და პრობლემების შესწავლა. გაანალიზებული უნდა იქნეს რა იწვევს დანაშაულებრივ მოქმედებათა ზრდას. აუცილებელია სასწავლო პროცესების რადიკალური რეფორმა დროის უმოკლეს ვადაში.

დ. რეფორმების გატარება შემოქმედებით ორგანიზაციებში, რაც გამოიხატება მონოპოლისტური, ხელოვნურად შექმნილი ორგანიზაციების დემონტაჟში, ვინაიდან ასეთი ორგანიზაციები დღეს ვერ აკმაყოფილებენ ერის ზნეობრივი ამაღლებისათვის საჭირო მოთხოვნილებებს.

ე. ჭეშმარიტი ეროვნული ძალების საქმიანობის პროპაგანდა, მათ მიმართ ყოველგვარ უზნეო გამოვლინების შემთხვევაში რეაგირება საზოგადოებრივი აზრის აღძვრის მიზნით, საარჩევნო კომპანიებში მხარდაჭერა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ასოციაცია „ამაღლებას" მიაჩნია, რომ არსებობს მრავალი სხვა პრობლემაც, რომლის გადასაჭრელად უნდა გაერთიანდეს საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი.

ასოციაცია „ამაღლება" დაფუძნდა 7 მარტს, ხოლო ამ განცხადების გამოქვეყნების დღე ითვლება ასოციაციის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის თარიღად.

სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ასოციაცია „ამაღლების" სახელით:

**გელა კობეშავიძე, თეიმურაზ ჯიბლაშვილი, მალხაზ დავითაშვილი, მალხაზ მაისურაძე, კოტე ჭიჭინაძე, ქეთევან დათაშვილი, ბესიკ კაიშაური, გია შალაშვილი, თამაზ თურმანიძე, თემურ სხირტლაძე.**

# ღია წერილი სერგეი კოვალიოვს

როგორც ლევ ელინის ერთ-ერთი ბოლო პუბლიკაციიდან შევიტყვეთ (ჟურნალი „ნოვოე ვრემია" № 25, 1990 წ. სტატია „პოლიტიკოსები, „კანონის მცველნი" და ...„შემლილობა") ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაციის მორიგ ყოველწლიურ შეხვედრაზე თქვენ დაადანაშაულეთ საქართველოს ჰელსინკის კავშირი, აღნიშნეთ, ვითომ იგი უარს ამბობს ეროვნული უმცირესობის „მესხეთის" თურქების უფლებათა დაცვაზე.

გაცნობებთ, რომ „მესხეთის" თურქების საკითხი ბოლშევიკური წრეების და ქემალისტური თურქეთის მორიგების შედეგად წარმოშობილ პრობლემათა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. საქართველოსათვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის შეთანხმება, როდესაც ხელმოწერილ იქნა „მეგობრობის და ძმობის ხელშეკრულება" რსფსრ-ს და თურქეთს შორის და 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება, რის შედეგადაც ამიერკავკასიაზე გავრცელდა მოსკოვის შეთანხმების დადგენილებები. ყოველივე ამის შედეგად რსფსრ-მ და თურქეთმა საქართველოს მოსახლეობის დაუკითხავად გაინაწილეს 1921 წლის 25 თებერვლამდე დამოუკიდებელი ქვეყანა. რუსეთსა და თურქეთს შორის საქართველოს განაწილების შედეგად თურქეთში აღმოჩნდა შემდეგი ტერიტორიები:

ართვინის ოლქი (ფართობი 3.339 კვ. კმ. მოსახლეობა 71000 ადამიანი).

ფოცხოვის თემი (ფართობი 588 კვ. კმ. მოსახლეობა 15000 ადამიანი).

არტაანის ოლქი (ფართობი 5644,74 კვ. კმ. მოსახლეობა 85869 ადამიანი).

ოლთისის ოლქი (ფართობი 3.951 კვ. კმ. 32000 ადამიანი)

ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი (მაჭახელია, ბორჩხა და მაკრიალი, ფართობი 936.15 კვ. კმ. მოსახლეობა 16.380 ადამიანი).

ამას გარდა, საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის დეკლარაციით აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა.

ზაქათალის ოლქი (დღევანდელი აზსსრ კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები, ფართობი 3993.89 კვ. კმ. მოსახლეობა 92608 ადამიანი).

ხოლო საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ რევკომების მორიგებითა და ამიერკავკასიის ცაკის დადგენილებით აზერბაიჯანის სსრ-ს გადაეცა გარეჯის ნაწილი, ქვემო ყარაიაზი და ელდარი.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ამ დანაშაულებრივი აქციის შედეგად თავისი საკუთარი სამშობლოს ამ ნაწილში მცხოვრები ქართველები (რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს შორის), განსაკუთრებით ქართველი მაჰმადიანნი ეროვნული ნიშნით დისკრიმინირებულნი აღმოჩნდნენ როგორც თურქეთში ისე აზერბაიჯანის სსრ-ში. სამართლიანობა მოითხოვს ადამიანისა და ერის უფლებათა აღდგენას მთლიანობაში და არა მხოლოდ მათი იმ ნაწილის განხორციელებას, რომელიც დააკანონებს საქართველოს და ქართველთა მიმართ 1921 წელს განხორციელებულ დღესაც შეუწყვეტელ ძალადობას.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვაყენებთ ტერიტორიულ პრეტენზიებს, მაგრამ ვთვლით, რომ როგორც ქართველთა ისე არაქართველთა გათელილი უფლებების აღდგენისაკენ მიმავალი გზა გადის საქართველოს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე და მეზობელ ქვეყნებში ადამიანისა და ერის უფლებების განხორციელებაზე, ხოლო რაც შეეხება იმ თურქებს, რომლებიც მოისურვებენ საქართველოს მოქალაქის სტატუსის მიღებას, მათი საქმეები პერსონალურად უნდა იყოს განხილული დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიულად, ჭეშმარიტი პოლიტიკური პლურალიზმის პირობებში არჩეული პარლამენტისა და მთავრობის მიერ. მხოლოდ ასეთ პარლამენტს და მთავრობას აქვს ქართველი ერისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის უფლება და არა იმპერიის ხელისუფლებას და მითუმეტეს იმ ცალკეულ პირებს, ვინც ითხოვს დეპორტირებული მოსახლეობის მრავალრიცხოვანი შთამომავლობისათვის საქართველოსა და სომხეთის იმ მიწების გადაცემას, რომელიც მათ არ ეკავათ დეპორტაციამდე (იხ. ჟურნალი „სოვეტსკაია ეტნოგაფია" № 1 1990 წ.).

ამას გარდა, თუ არ ვილაპარაკებთ საქართველოს მცირემიწიანობაზე, დგება კიდევ ერთი საკითხი: შესაძლო სომხურ-თურქული წინააღმდეგობა, რომელიც სამწუხარო რეალობად იქცევა სამხრეთ საქართველოში თურქული მასივის შესახლების შედეგად. სამხრეთ საქართველო იქცევა უკანონო ქმედებების, ფეოდალის მოვლენების მსგავსი ერთაშორისი შეჯახებების ასპარეზად, ასეთი მომავალი, ბუნებრივია, ვერ გაამხნევებს ვერცერთ კეთილგონიერ ადამიანს.

რაც შეეხება თურქების ისტორიულ სამშობლოს, ჩვენ ვეთანხმებით მკვლევართა უმრავლესობას, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ის არის ალტაი, აღმოსავლეთ ციმბირი, ბაიკალისპირეთი, მონღოლეთი (იხ. თუნდაც, ა. ხ. ხალიკოვი „თათარი ხალხი და მისი წინაპრები" ყაზანი 1989 წ. გვ. 52) და თურქეთი. ჩვენ მხარს ვუჭერთ „მესხეთის" თურქების იმ ნაწილის აზრს, რომელიც ითხოვს თავის ნამდვილ ისტორიულ სამშობლოში — თურქეთში დაბრუნებას.

გამოვხატავთ რა ღრმა პატივისცემას თქვენს, როგორც გამოჩენილი სამართალდამცველის მიმართ, ჩვენს ვალად ვრაცხთ, განვაცხადოთ, რომ თქვენი, უდავოდ, კეთილშობილი პოზიცია არ ეფუძნება რა უახლესი დროის საქართველოს ისტორიის ყველა რეალობის ცოდნას, აკანონებს მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თვითნებობასა და დანაშაულს, რისი შედეგებიც მტკივნეულად ისახება თურქეთსა და აზერბაიჯანის სსრ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე.

**ჰელსინკის კავშირის სახელით:**

**ზვიად გამსახურდია,**
**გიორგი მარჯანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**გიორგი ხოშტარია.**

**მინაწერი: ამავე პრობლემას უკავშირდება 1990 წლის 5 ივლისის გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნებული ქართველ მოღვაწეთა მოთხოვნა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დამცველი ლიგის რეგისტრაციის შესახებ. მრავალ კითხვასთან ერთად გამოვყოფთ უმთავრესს:**

**განმცხადებლებს კარგად მოეხსენებათ, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ ქართველი მაჰმადიანების გარდა ცხოვრობენ ქართველი მართლმადიდებელნი, ქართველი კათოლიკენი და ბოლოს ქართველი ათეისტები. ვის დასჭირდა საქართველოს ტრადიციული მტრების მსგავსად ქართველთა კიდევ ერთი დაყოფა რელიგიური ნიშნით? ასეთი ორგანიზაციის შექმნა ხომ ამყარებს ეროვნული სხეულის მთლიანობის რღვევის უკვე შესუსტებულ ტენდენციებს. ვიდრე თბილისში არ აღმოცენებულა ცალცალკე სხვადასხვა კონფესიის და სარწმუნოების ქართველთა უფლებების დამცველი „ლიგები" და „ასოციაციები", ვიდრე ეს „ორგანიზაცია" არ ქცეულა ახალ საცთურად ქართველი საზოგადოებისთვის, სჯობს, დავფიქრდეთ და გავჩერდეთ.**

# გეპატიჟებათ საქართველოს ქორწინების სააგენტო

თუ გსურთ ოჯახის შექმნა, ნაცნობების წრის გაფართოება, საქართველოს ქორწინების სააგენტო მზად არის დაგეხმაროთ!

კომპიუტერის, ანკეტირების, ფსიქოლოგიური ტესტირების საშუალებათა გამოყენებით სააგენტო 6 თვეში შეგირჩევთ გაცნობის შესაფერის ვარიანტებს.

განაცხადი მიიღება შემდეგ მისამართზე: 380004, თბილისი-4, სააბონენტო ყუთი-114, საქართველოს ქორწინების სააგენტო, წერილს თან დაურთეთ კონვერტი თქვენი მისამართით.

ცნობებისათვის: ტელ: 93-16-70.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ უკვე გვიან არ არის

**მუხრანის** ველი თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო შიდა ქართლში ოდითგან ერთ-ერთ ყველაზე დაწინაურებულ სასოფლო-სამეურნეო რეგიონს წარმოადგენდა. მრავალმხრივ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, იგი ადამიანს საცხოვრებლად უხსოვარი დროიდან აუთვისებია. უთუოდ მატერიალური დოვლათის დაგროვებამ განაპირობა ის, რომ მუხრანის ველი ანტიკურ ხანაში ქართლის სამეფოში ურბანიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი კერა იყო, რისი უტყუარი დასტურიც არის აქ გამოვლენილი უმდიდრესი მატერიალური კულტურის ძეგლები. დადგენილია, რომ მოსახლეობა მუხრანის ველს ადრეულ და განვითარებულ საშუალო საუკუნეებშიც ინტენსიურად იყენებდა სახნავ-სათესად.

რა მდგომარეობაა დღეს მუხრანის ველზე? პასუხი ერთია — მუხრანის ველის მდგომარეობა კატასტროფულია! მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე უნებართვოდ დაიდო ბინა მანქანების ბაზარმა. მართალია, საკუთრივ სამეურნეო ნაგებობებს დიდი ფართობი არ უკავია, მაგრამ სამაგიეროდ განადგურებულია მთელი მიმდებარე ტერიტორია, სადაც თავს იყრიან, როგორც მანქანის გამყიდველები თავიანთი მანქანებით, ასევე მყიდველებიც (უმეტესად ისინი მანქანებით მოდიან). ბევრს ალბათ თავისი თვალით უნახავს, თუ რა ხდება მანქანების ბაზარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შაბათ-კვირას.

მანქანების ბაზრის მახლობლად მდებარეობს სათადარიგო სამხედრო აეროდრომი, რომელსაც 157 ჰექტარი ფართობი უკავია. ეს უზარმაზარი ტერიტორია 1941 წელს სამხედრო უწყებამ რატომღაც სომხეთს გადასცა. კერძოდ — ლენინაკანს. წლების განმავლობაში ამხელა ფართობი გამოუყენებელი იყო. 1985 წელს, მცხეთის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის მითითებით, აეროდრომის ტერიტორია გაწმინდეს ჯაგნარისაგან რასაც, სამწუხაროდ, სასწრაფოდ მოყვა სომხების მიერ ამ ფართობზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა. მოწეული მოსავალი იგზავნება ლენინაკანში. ჩვენი სამხრეთელი ძმები ამასაც არ დასჯერდნენ და აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყეს სილოსისა და სხვა ნაგებობების მშენებლობა. გულისტკივილით შევნიშნავ, რომ სილოსისთვის შენდებოდა მოზრდილი ორმო (იგი ამოყვანილი იყო ბეტონის ფილებით. ჩვენი ჩარევის შემდეგ ფილები ამოალაგეს და ორმოც ნაწილობრივ ამოავსეს), რომელიც გამიზნული იყო სილოსიდან გამონადენი წუნწუხისთვის. იმის გამო, რომ აქაური ნიადაგი მაღალი დრენაჟის უნარით გამოირჩევა, ამ სიბინძურის ნაკური „შესაძლოა" თბილისელთა წყალსადენებში აღმოჩნდეს, ვინაიდან აღნიშნული ტერიტორია თბილისის წყალსადენის ზონაშია.

ამავე ტერიტორიაზე ძალზე იოლად მოიკიდა ფეხი „სომხეთგაზმა", რომელმაც აქ ჩადგა ფინური სახლები, ვაგონები, ააგო სამეურნეო ნაგებობები და მოზიდა დიდძალი, 1 მეტრი დიამეტრის მქონე მილები (ასეთივე მილებით არის ავსებული მოზრდილი ფართობი, ყოფილი სამრეწველო ბაზრობის ტერიტორიაც ქსნის გადასახვევთან). აქვე ყრია მშენებლობისა თუ სხვა პროცესების შედეგად დარჩენილი ნაგავი. მიდამო გადატკეპნილ-გადათხრილია. ამაოდ შევეცდები იმ სურათის სრულად აღწერას, რასაც აქ მოსული ადამიანი იხილავს. ზემოთ ჩამოთვლილს ემატება „სომხეთგაზის" ის დანაშაულებრივი, ბარბაროსული ქმედება, რაც მოუშუშებელ ჭრილობად ამჩნევია იმ სოფლებს, რომელთა ტერიტორიაზედაც მათ მოუხდათ მუშაობა. მათი ბარბაროსობის თვალსაჩინო მაგალითია ფასანაური. როგორც თვითონ „სომხეთგაზის" თანამშრომლებმა მითხრეს, გაზგაყვანილობა სოფლიდან 6-9 კმ. დაშორებით უნდა გადიოდეს. სოფელი ნატახტარი კი გაზის მილების ალყაშია მოქცეული. მას, ოთხი მხრიდან შემოუყვება გაზგაყვანილობა, რომელიც მხოლოდ 100-150 მეტრით არის დაშორებული სოფელს. ალბათ ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა შედეგი მოყვება გაზის გაშვების შემდგომ ამ ადგილებში მომხდარ მცირე დაზიანებასაც კი. უნდა შევნიშნო, რომ საჩივრებს გამოთქვამენ სოფელ საგურამოს მცხოვრებლებიც.

სამხედრო სათადარიგო აეროდრომის მოპირდაპირე მხარეს 13 ჰექტარ ფართობს მთლიანად სამხედროები დაპატრონებიან. კერძოდ, ამიერკავკასიის შ/ს სამსახური. ფართობის დიდი ნაწილი უკავია ტყვია-წამლისა და იარაღის საწყობებს. ამჟამად, ამიერკავკასიაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, იარაღი მთლიანად რუსეთშია გატანილი. იქნებ, უპრიანი იყო ამ დაწესებულების მთლიანი ლიკვიდაცია მუხრანის ველზე?

არანაკლებ დარღვევებს აქვს ადგილი თბილისის წყალსადენის I და II ზონაში, რომელსაც 142 ჰექტარი ფართობი უჭირავს. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისელთათვის ამ ადგილების სათანადო დაცვას, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. შევახსენებთ მხოლოდ, რომ ამ ფართობზე II ზონაში მდებარეობს სამხედრო სათადარიგო აეროდრომის ის ნაწილი, რომელზედაც გამართულია ზემოაღწერილი სილოსე თავისი საწუნწუხე ორმოთი. რაც შეეხება I ზონას, არც აქ არის ყველაფერი რიგზე. 3 ჰექტარ ფართობზე განლაგებულია საყვავილე-სანერგე მეურნეობა. სათბურების არაეკოლოგიურობა საყოველთაოდ არის ცნობილი. სათბურებში ვარდებისთვის სისტემატურად შეაქვთ შხამქიმიკატები. სანერგე მეურნეობა ეკუთვნის თბილისის აღმასკომს. მიმდებარე ტერიტორიაზე 78 ჰექტარი ფართობი უკავია ქალაქის საბჭოს გამწვანების სამმართველოს. სოფლის მოსახლეობის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ფართობი უნდა დაუბრუნდეს სოფელს და დაითესოს ერთწლიანი კულტურები, ძირითადად კი ხორბალი. ნატახტარის მეურნეობა ერთ-ერთი პირველთაგანია რესპუბლიკაში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას აწარმოებს უსასუქოდ. მან უარი თქვა ყოველგვარი შხამ-ქიმიკატის გამოყენებაზე.

ფართო საზოგადოებრიობისთვის კარგად არის ცნობილი ის ვნებათაღელვა, რაც მოყვა ამიერკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის მცდელობას. დღეს, როდესაც ის, მგონი საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული (ყოველშემთხვევაში, მისი ლიკვიდაცია ოფიციალურად გამოცხადდა), მუხრანის ველზე, სოფელ წილკნის ტერიტორიაზე კვლავ განაგრძობს არსებობას მისი სამშენებლო ბაზა. ვაგლახი სანახავია ბეტონის მაღალი ღობით შემოკავებული 12 ჰექტარი ფართობი. ის, რაც ამ ტერიტორიაზე ხდება, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დღეისთვის აქ ერთადერთი საწარმო, სამხერხაო მუშაობს. ასეთი ტიპის საწარმოსთვის კი სახნავ ფართობზე მდებარეობა აუცილებელი არ უნდა იყოს. უფრო მიზანშეწონილად გვეჩვენება სამხერხაოს გადატანა შედარებით მწირ, უნაყოფო ტერიტორიაზე. ვფიქრობ, ბატონი ავთანდილ ჩალაძე, რომელსაც ექვემდებარება აღნიშნული ბაზა, არ გაჯიუტდება და სოფელს დაუბრუნებს კუთვნილ მიწას. ამასთან აუცილებლად გადაჭრის ორ უმთავრეს საკითხს: საჭიროა ტერიტორია გათავისუფლდეს კაპიტალური ნაგებობების ნარჩენებისა და ხრეშის სქელი ფენისაგან და 12 ჰექტარი ფართობის სრული რეკულტივაცია.

ამავე სოფლის ტერიტორიაზე დიდი ხანია დაიდო ბინა გეოლოგიურმა სამსახურმა, რომელსაც 3 ჰექტარი ფართობი უკავია. უსიამოვნო სანახავია მისი საქმიანი ეზო, მაგრამ მთავარი მაინც მათ მიერ შუა მუხრანის ველზე თევზსაშენის მშენებლობაა. იმ ბარბაროსობის სრული აღწერა, რაც მუხრანის ველზე ხდება, ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. სამხედრო სათადარიგო აეროდრომის გაუქმების საკითხი არაერთხელ დააყენა მცხეთის მიწათსარგებლობის საკითხების შემსწავლელმა მუდმივმოქმედმა კომისიამ. მცხეთის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელმა ი. კავსაძემ ტელეინტერვიუში დაასაბუთა ამ ობიექტის არსებობის უკანონობა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

აღნიშნული წერილის დაწერა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ „სომხეთგაზმა" დაიწყო აეროდრომის ტერიტორიიდან პურის აღება, რომელიც ლენინაკანში უნდა გაიგზავნოს. ამან აღელვა როგორც სოფელ ნატახტარის, ასევე რესპუბლიკის საზოგადოებრიობა. მცხეთის აგროსამრეწველო გაერთიანებისა და მუდმივმოქმედი მიწათსარგებლობის საკითხების შემსწავლელი კომისიის მხარდაჭერით დაიწყო ადგილობრივი ახალგაზრდობის მიერ აღნიშნული ტერიტორიის პიკეტირება დევიზით: „დავუბრუნოთ საკუთარი მიწა საქართველოს!" პიკეტის მონაწილეთა და მათ მხარდამჭერთა მოთხოვნები ასეთია:

1. ლიკვიდირებულ იქნეს სოფელ ნატახტარის ტერიტორიაზე უნებართვოდ დამკვიდრებული მანქანების ბაზარი;
2. დაუყოვნებლივ დაიწყოს „სომხეთგაზის" მიერ წარმოებული მავნებლური მოქმედების საჯარო განხილვა.
3. დაუყოვნებლივ იქნეს ლიკვიდირებული სამხედრო სათადარიგო აეროდრომი და მის მიერ დაკავებული 157 ჰექტარი ფართობი გადაეცეს მის ერთადერთ კანონიერ მფლობელს — სოფელ ნატახტარს.
4. დაუყოვნებლივ გაუქმდეს სამხედროთა (სომხების) დამხმარე მეურნეობა. სილოსის უნებართვო მშენებლები გადაეცეს მართლმსაჯულებას. მოხდეს ტერიტორიის სრული რეკულტივაცია (თუ კიდევ არსებობს ამის შესაძლებლობა).
5. გატანილ იქნეს თბილისის წყალსადენის I ზონიდან საყვავილე-სანერგე მეურნეობა.
6. გაუქმდეს ქალაქის საბჭოს გამწვანების სამმართველოს კუთვნილი 78 ჰექტარ ფართობზე არსებული სანერგე და ტერიტორია გადაეცეს სოფელ ნატახტარს.
7. გაუქმდეს ან შესაფერის ტერიტორიაზე იქნეს გადატანილი კავგვირაზმშენის ბაზა და 12 ჰექტარი ფართობი დაუბრუნდეს სოფელ წილკანს.
8. გაუქმდეს თევზსაშენის მშენებლობა და ზარალი ანაზღაურებლად გადაეცეს ამ ორგანიზაციას თუ კერძო პირს, ვინც გასცა ამ მშენებლობის ნებართვა, თუ კი იგი საერთოდ არსებობს.

**ნინო მირიანაშვილი,**
**მცხეთის მიწათსარგებლობის საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.**

# რატომ უყვართ



# რუსებს ელცინი?

ეს ამბავი წელიწადზე მეტი ხნის წინათ მოხდა.

**— ერთი ეს გამაგებინა, ასე ძალიან რატომ გიყვართ ბორის ელცინი?** — ვეკითხები ქვრივ, ცისფერთვალება მოსკოველ მხატვარ ქალს ლუდმილა ერმოლოვას.

— ელცინი? — ცისფერი თვალები უბრწყინავს ლუდმილას, — ეს ხომ ფანტასტიკაა, უბრალო, თავმდაბალი, რუსეთზე უზომოდ შეყვარებული, განა შეიძლება, რომ იგი არ გიყვარდეს?

მეორე დღეს ჩვენ ერთად მივდივართ მიტინგზე „ლუჟნიკებში". ტრიბუნაზე ხალხის რჩეული დეპუტატები დგანან, უფრო ზუსტად ოპოზიციის ცნობილი ლიდერები: ანდრეი სახაროვი, იური აფანასიევი, გავრიილ პოპოვი, ტელმან გდლიანი და ალექსანდრე ივანოვი. გამორჩეული მათ შორის მაინც ბორის ელცინია. შორიდან რატომღაც ჩრდილოეთის თეთრ დათვს მაგონებს. საინტერესო ის არის, რომ ბორის ელცინის გვერდით ქართველი ბიჭები დგანან და ტრიბუნის თავზეც ქართული დროშა ფრიალებს.

მიტინგზე ათი ათასობით მოსკოველი, უცხოელი და საბჭოთა კორესპონდენტების მთელი არმიაა მოსული — თავისი კინო, ვიდეო და ფოტო აპარატებით. ნემსი არსად ჩავარდება. მე კი მაინც ტრიბუნისაკენ მივიწევ — ქართველი ჟურნალისტი ვარ, — ვეუბნები ყველას და ისინიც მატარებენ, დღევანდელი მიტინგი ხომ ძირითადად საქართველოში მომხდარ 9 აპრილის ამბებს ეძღვნება.

— ბორის ნიკოლოზის ძევ! — ვეძახი დაბლიდან ელცინს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, მისგან ინტერვიუ უნდა ავიღო. ელცინს ჩემი ძახილი არ ესმის, სახეზე მომხიბვლელი ღიმილი დასთამაშებს, შემართული ხელით მოსკოველებს ესალმება.

ველარ ვითმენ და პიჯაკის სახელოზე ვექაჩები — ბორის ნიკოლოზის ძევ!

მაღლიდან ელცინი გაოცებული დამცქერის...

**— მაპატიეთ ბორის ნიკოლოზის ძევ! — ქართველი ჟურნალისტი ვარ, საქართველოში ისე ვერ წავალ, ინტერვიუ თუ არ ჩამოგართმევ.**

— ხედავთ, — მეუბნება ელცინი, — ეს ხალხი საქართველოს თანაგრძნობის გამოსახატავად მოვიდა, ეს არის ნამდვილი რუსეთი და არა ის, ვინც ნიჩბებით და მხუთავი გაზებით უმწეო ქალებსა და ბავშვებს უსწორდებოდა.

**— თუ არ ვცდები, ამ დღეებში საქართველოში ბრძანდებოდით.**

— საქართველოში საკუთარი სახსრებით გახლდით, — რატომღაც ხაზი გაუსვა ამ ფაქტს ელცინმა, — ძალიან შემზარავი ამბავია, ის, რაც თბილისში მოხდა, უპირველეს ყოვლისა საკუთარი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულია, მით უფრო საწყენია, როდესაც სხვების გასაგონად ბევრს ვლაპარაკობთ დემოკრატიაზე, გარდაქმნაზე და საჯაროდ ვკივირით სტალინის დანაშაულობებზე.

შუა მიტინგზე მიკროფონთან მედესანტის ფორმაში ჩაცმული რუსი ახალგაზრდა მიიჭრა, უბრალოდ სიტყვით კი არ გამოვიდა, ნამდვილი ცეცხლი დაანთო:

— ხალხო, არმიიდან გამოვიქეცი, არ მინდა ისეთ არმიაში სამსახური, რომელიც უმწეო ქალებსა და ბავშვებს ალესილი ნიჩბებით უმასპინძლდება! — ასე, მიმართა მან ხალხს.

ამისი თქმა იყო და, ეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდა სამხედროებმა ტრიბუნიდან დაბლა ჩამოათრიეს, ატყდა ერთი ჩოჩქოლი, გაწევ-გამოწევა. უცბად, რომ იტყვიან, სასწაული მოხდა, ბორის ელცინი ჩადგა შუაში, მოძალადე სამხედროებს ახალგაზრდა ხელიდან გამოგლიჯა, ტრიბუნაზე აიყვანა და გვერდით ამოიყენა:

— ხელსაც ვერავინ დააკარებს, მე მას ჩემი სადეპუტატო დაცვის ქვეშ ვიყვან, — გადმოსძახა ხალხს და ეს ნათქვამი აღტაცებულ ყიჟინაში ჩაინთქა.

**შალვა შარაშიძე**

**სურათზე: ბორის ელცინი გასულ წელს „ლუჟნიკებში" გამართულ მრავალათასიან მიტინგზე.**

**ავტორის ფოტო**

**სხვა გაზეთებიდან**

# პატარა ქართველს მკურნალობენ მაინცში

## უნივერსიტეტის კლინიკაში გაიგეს ძვლის მტანჯველი ტკივილების მიზეზი

ვერავინ იტყვის, რომ ეს ავადმყოფის პალატაა, ქართულ-რუსულ-გერმანული საუბარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ინგლისურით შეზავებული, ავსებს ოთახს. დათო მხიარულად ხტება ერთი საწოლიდან მეორეზე, მინიატურული ავტომანქანების მთელ პარკს აშენებს, სათამაშო ცხოველებს დაუღალავად დაასეირნებს აქეთ-იქით, ექვსი წლის ცოცხალ შავთვალება ბიჭუნას არც კი ეტყობა, რომ ავადაა.

ამ დროს კი ამ პატარა ქართველს ტვინის თანდაყოლილი მანკი აწუხებს. ინტრაცერებრალური კისტა — ასე ჰქვია მედიცინის ენაზე. უაღრესად ნიჭიერ დავითს, გატაცებით რომ თამაშობს ჭადრაკს, უკვე გადაუტანია ექვსი ოპერაცია მოსკოვსა და საქართველოს დედაქალაქ თბილისში. ახლა კი, როცა დათოს გართულებები დაეწყო, უეცრად სიარული ველარ შეძლო, ძვლის აუტანელმა ტკივი-

(დასასრული მე-7 გვ.)

# შავ ზღვას კოლხეთის ზღვა ერქვა

[illegible]

Caspian and the Colchian Seas. The Euxine.

[illegible]

დასანანია, რომ კასპიის ზღვას შერჩა კასპი ტომის, მცირერიცხოვანი ტომის სახელი, რომელიც დიდი ხნის წინ გაქრა ისტორიიდან, ხოლო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნახევარს კოლხეთის ზღვა აღარ ეწოდება. შავი ზღვის მეორე ქართული შესატყვისი იყო სპერის ზღვა — ქართული რეგიონის, სპერის სახელწოდების მიხედვით.

სტრაბონზე ადრე კავკასიის აღწერა მითრიდატე მეფეს, ევპატორს შეუდგენია. 1834 წელს ე. სმითი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არმენიაში ყოფნის დროს იქაური ხალხის შეხედულებითაც მითრიდატე ევპატორი ქართველი იყო. ის ოცდაორ ენას თავისუფლად ფლობდა (ე. სმითი „მისიონ სიენტიფიკ დან ლარმენი", 1834 წ. ლონდონი. გვ. 146). მან რომაელების საოკუპაციო ჯარი კოლხეთში, ყირიმში, პონტოში მიუღებლად მიაჩნდა. მის დროს, წინასწარ დათქმულ დღეს მოხდა რომაელი დამპყრობლების გენოციდი. ბრძანების თანახმად, ყველა რომაელი უნდა გაენადგურებინათ. მითრიდატე ევპატორი, დიდი, დაიბადა ძვ. წელთაღრიცხვით 132 წელს, გარდაიცვალა 68 წლისა. სტრაბონი დაიბადა მითრიდატეს გარდაცვალების მომდევნო — 64 წელს. მითრიდატე ევპატორის სახელი შერჩა ყირიმში მის მიერ დაარსებულ ქალაქს — ევპატორიას. მითრიდატეს ვაჟის, მეფე ფარნას სახელს ატარებდა საქართველოში რამოდენიმე ქალაქი. ფარნასქალაქი ანუ ფარნაკოფია დიდხანს შერჩა სახელად ანაპის ჩრდილოეთით, ქერჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქალაქს. მეორე ფარნასქალაქი თანამედროვე ქალაქი ახალი ათონია ცხუმთან, მესამე — ტრაპიზონის სამხრეთით იყო. ფარნაკოფია — ფანაკოფია — ანაკოფია — ნიკოპსია — ნიკობჩა ფორმები ევროპელი მეცნიერების შეხედულებით ფარნასქალაქის, ფარნაკოფიის სახეცვლილი ფორმებია. მითრიდატე მეფის მიერ შედგენილი ცნობები კავკასიელი ხალხების შესახებ სანდო ცნობებია, მეფის ცნობებია თავისი ქვეშევრდომი ხალხების და მათი მეზობლების შესახებ. სტრაბონმა ისარგებლა მითრიდატეს ცნობებით, რაც მიუთითა კიდეც გეოგრაფიაში.

სტრაბონმა მრავალი ქვეყანა მოიარა — იტალია, საბერძნეთი, ეგვიპტე, მცირე აზიის მოზრდილი ტერიტორია. ის ქვეყნები, რომლებიც მოიარა, ჩამოთვალა მე-2 ტომში, გვ. 451. ტექსტიდან არ ჩანს, იყო თუ არა სტრაბონი, ვთქვათ, ტრაპიზონის ჩრდილოეთით, ფაზისში ან მითუმეტეს, იბერიის მთიანეთში. ერთგან ის გაკვრით წერდა, რომ იბერიის მთიანეთში ხალხი განსაკუთრებით ამჟღავნებდა მთიელებისათვის დამახასიათებელ მეომრულ თვისებებს. სტრაბონის ამ ფრაზას ხშირად ზედავენ ხოლმე რუსეთის მიერ საქართველოში შემოსახლებული ხალხის მწერლები. ეს ტექსტი მათ აღაფრთოვანებთ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იბერიის ტერიტორიაში ისტორიულად თითქმის ყოველთვის იგულისხმებოდა ჩრდილო-კავკასიის მოზრდილი რეგიონი. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ჩრდილო-კავკასიაში უხსოვარი დროიდანვე დასახლდნენ ქართლიდან ჩასული ქართლელები. ძირითადად მათ ჩამოაყალიბეს, შექმნეს ქვეყანა ობსეთი, ოფსეთი, ოვსეთი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებს ემორჩილებოდა თითქმის ყოველთვის. აქ იგულისხმება „ნამდვილი ოფსეთი", რომელიც დღევანდელი ყაბარდოს ტერიტორიაზე მდებარეობდა, და არა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ „კავკასიათა შინათა" ანუ „აწინდელი ოვსეთი" — ფორმით მოხსენებული ქართლის ნაწილი ქსნისხევის მიდამოში, „ახლაც რომ დვალეთს ვუწოდებთო".

პლინიუსის, სტრაბონის მომდევნო მეცნიერის, ისტორიაში დაცულია ცნობები ქართველების ტერიტორიის არსებობის შესახებ კავკასიონის ქედისგან საკმაოდ მოშორებითაც ჩრდილოეთ კავკასიაში, კოლხების და გეორგების ტერიტორიის სახელწოდებით. ტომი 2, გვ. 352, 361. ლონდონი.

პლინიუსს აქვს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაც: კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით განსახლებულ ხალხებს შორის მან დაასახელა „ოსქარდეის" ხალხი. **ოსქარდეთში აშკარად იგულისხმება ქართველების და ობხების** ნარევი მოსახლეობით დასახლებული რეგიონი ჩრდილოეთ კავკასიაში — შესაბამისი ტექსტი ჩრდილოკავკასიის, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიის აღწერაში აქვს პლინიუსს. პირველ საუკუნეში ოსქარდების ნაწილი — რომ უფრო ადრეულ ხანაშიც თავიდანვე ქართლიდან გადაყვანილი მოსახლეობა იყო, ნათელია „ქართლის ცხოვრებიდან". ამგვარად პლინიუსმა ჩრდილო-კავკასიაში დაასახელა ქვეყანა „ოსქარდეის" ხალხით „ოსქარდეის", სადაც ქართველები მკვიდრ მოსახლეობად იგულისხმება. პლინიუსს ვერავინ დასწამებს, რომ მას ეს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან" ჰქონდა ამოღებული. მან რომაული და ბერძნული წყაროები, რომის იმპერიის ადმინისტრაციის ოფიციალური აღწერები გამოიყენა. ტომი 2, გვ. 353.

აქედან გამომდინარე, ოსქარდებზე სტრაბონს მართლაც შეეძლო ეთქვა, რომ ისინი გამოირჩეოდნენ დანარჩენი ქართველებისაგან და უცხოტომელებსაც თითქოს დაუნათესავდნენ. ასეთი აზრი სწორი იქნებოდა. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტრაბონის გეოგრაფიაში არავითარი მინიშნება არ არის იმის თაობაზე, თითქოს მთიელებში არაქართველებს გულისხმობდა ხევის კარის (დარიალის) სამხრეთით, თანაც მაინცა და მაინც — ირონ ხალხს. ასეთი აზრი სტრაბონთან არსად არ არის გატარებული. აკადემიკოსი ერნესტ შანტრი საფრანგეთიდან, ქ. ლიონის მუზეუმის დირექტორის მოადგილე, წერდა, რომ ჯერ კიდევ საკითხავია და სრულებითაც არავის დასაბუთებია, ოსეტინცებად ცნობილი ხალხი სარმატების ან სკვითების ჯგუფში ითვლებოდა თუ არა, მათი ნათესავე იყო თუ არა. სწორედ აკადემიკოსმა ერნესტ შანტრმა ჩაატარა გათხრები გასულ საუკუნეში კავკასიაში; ყობანის, ქობანის, სამარხებიც მან გათხარა. მისი დასკვნით, ყობანის უძველესი დროის კულტურა ისეთივეა, როგორც კავკასიის სამხრეთი რეგიონის კულტურა და ერთ მთლიან ქალდეურ-ქართულ კულტურად აღიქმება. ერნესტ შანტრის წიგნები ინახება თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, „სეტ ორიჟინ ეტ ანკორ დემონტრერ", ტომი 4, გვ. 18. „რეშერშე ანტროპოლოჟიკ", 1886 წ. პარიზი.

სახელწოდებაში „ოსქარდეის" პლინიუსმა შეინარჩუნა ტომობრივი სახელი „ოს"-ი ისეთი ფორმით, როგორითაც ის ქართულ წყაროებშია ცნობილი. პლინიუსი კავკასიონის ქედის მახლობლად ჩრდილოეთ კავკასიაში არც ალანებს ასახელებს და არც „ასს"-ებს, ალანები დონის იქით ჰყავს მოხსენიებული. 1245 წელს ბერმა კარპინიმ რომის პაპის დავალებით იმოგზაურა რუსეთში, მცირე აზიაში, მონღოლეთში. მისი მოგზაურობის აღწერა დაიბეჭდა. ერთგან ის გაკვრით ამბობს „ასს"-ები ანუ „ალანებიო" (კარპინის წიგნის რუსული თარგმანი თბილისშიც არის, მისი სათაურია „პუტეშესტვია ვ ვასტოჩნიე სტრანი პლანო კარპინი ი რუბრუკა". მოსკოვი, 1957 წელი. ა. მალეინის თარგმანი. დაიბეჭდა ნ. პ. შასტინას რედაქციით). მთლიანად მოვიტანთ ამ თავს:

„მონღოლებმა დაიპყრეს შემდეგი ხალხები და ქვეყნები: ჩინელები, მანჯები, სოლანგები, ყარა-ჩინელები, კომანა, თუმატ, ოირატ, კარანიტები, გუიურ, სუ-მონღალის, მერკიტები, მეკრიტები... ალანები ანუ ასსები, ობეზები ანუ გურგები, ნესტორიანები, არმენიელები..."

მხოლოდ ამ უბრალო ბერის ფრაზაზე: „ალანი ანუ ასსი" არის დამყარებული ოსეთოლოგიაში ალან-ასსების იგივეობის თეორია. ცალკე „ოს"-ს არც პლინიუსი, არც სტრაბონი არ ასახელებს, არც ბერმა კარპინიმ ახსენა „ოსი" ამ ფორმით.

პლინიუსი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი იყო. მისი ისტორია არის ის, რაც თანამედროვე მსოფლიოსთვის არის ბრიტანეთის ენციკლოპედია. გამოთვალეს, რომ პლინიუსმა 460 ავტორის წიგნი გამოიყენა. პირველი წიგნი შეადგინა სარჩევმა, სადაც ჩამოთვალა ავტორები, რომელთა ნაშრომებიც გამოიყენა, იგი განათლებით იურისტი იყო, 20-ზე მეტი ავტორის ნაშრომებით ცნობილია. სხვადასხვა დროს იყო რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციების, მხარეების მმართველი. ამდენად პლინიუსის ცნობები იურისტის და სახელმწიფო მმართველის ნაშრომია. როგორც თავად აღნიშნა, ეს ნაშრომი გასართობ წიგნად კი არ ჰქონდა გამიზნული, არამედ სერიოზულ სამეცნიერო შრომად და ასეთივე დონის მკითხველებისთვის იყო განკუთვნილი. ის სახელმძღვანელოდ იხმარებოდა მე-17 საუკუნის ბოლომდე.

პლინიუსმა კავკასიის აღსაწერად 20-ზე მეტი ავტორის ნაშრომი გამოიყენა. აქვს კიდევ რამდენიმე საყურადღებო ცნობაც, რომელსაც ვერ შევხვდებით სხვა ავტორებთან. ერთ-ერთი ასეთია ცნობა ოსქარდების შესახებ ჩრდილო-კავკასიაში. მასზე ზემოთ ვისაუბრეთ.

მეორე საყურადღებო ცნობა აბსუა ქვეყანას შეეხება. ავტორს სავსებით ცხადად აქვს გარკვეული, რომ პირველ საუკუნეში აბსუა ქვეყანა მდებარეობდა კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროსთან. პლინიუსი აღნიშნავს აბსუა ხალხის ეთნიკურ კუთვნილებასაც. **აბსუა ხალხი სკვითი ხალხი იყო;** I საუკუნეში ის აღარ იყო მომთაბარე ხალხი. მის მახლობლად ცხოვრობდნენ სხვა სკვითი ხალხებიც. აბსუა ხალხი ცხოვრობდა კასპიის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე მომცრო ყურეს ერთ მხარეზე. ამ ყურეს მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდნენ მომთაბარე სკვითები. აბსუა ქვეყნის სამხრეთით ესაზღვრებოდა უდე ხალხის საცხოვრისი, ხოლო მათს სამხრეთით ალბანელები ცხოვრობდნენ **ჩრდილო-კავკასიაში.** პლინიუსის ამ ცნობების სანდოობა ეჭვს არ იწვევს. არავითარი კერძო ინტერესი აბსუა ქვეყნის მდებარეობის აღწერის დროს მას არ ექნებოდა. მან ობიექტურად მიუთითა ფაქტი — **აბსუა ქვეყანა კასპიის ზღვის ჩრდილო ნაწილში მდებარეობდა.** პლინიუსი სავსებით მიუკერძოებელი პირია ამ საკითხის მიმართ, ამდენად ობიექტურიც არის. პლინიუსის ეს წიგნი არ არის ცნობისმოყვარე მოგზაურის ჩანაწერები, რომელსაც შეცდომები მოსდის ხოლმე ზერელე ცოდნის გამო. ამ დროს მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს — ყირიმს, კოლხეთს, პონტოს ქვეყანას რომაელები მართავდნენ. ისინი ატარებდნენ იქ სახელმწიფო აღწერებს. შემდგომ საუკუნეებშიც კარგა ხანს გასტანა ამგვარმა ვითარებამ. გასაკვირი არ არის, რომ სხვა ავტორებმა აბსუა სკვითი ხალხის შესახებ ცნობები თავიანთ წიგნებში არ შეიტანეს, ამაზე ისინი ზოგადად წერდნენ — „და ცხოვრობს მრავალი მცირე ტომის ხალხი, რომლებიც ჩვენ არ გვაინტერესებსო"... გასაკვირი ის არის, რომ პირველ საუკუნეში პლინიუსმა თავის ენციკლოპედიაში აბსუა ხალხსაც მიუჩინა ადგილი.

ქვემოთ მოვიტანთ პლინიუსის ტექსტის თარგმანს, ორიგინალს ლათინურ ენაზე და კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ შესრულებულ თარგმანს ინგლისურ ენაზე [illegible] ტომი 2, [illegible]




„მხოლოდ პასუხისმგებლობის გრძნობას მოკლებულ პირებს შეუძლიათ განაცხადონ, რომ სახელმწიფოში არამკვიდრ ერებს იხეთსავე უფლებებს მიანიჭებენ, როგორსაც მკვიდრ ერს. განა შეიძლება ყველა უცხოტომელის მიღება სახელმწიფოში, ვისაც კი იქ დამკვიდრების სურვილი გაუჩნდება. ეს აუცილებლად რასიზმს, ეროვნულ ნიადაგზე შუღლს, მტრობას გამოიწვევს. სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს ფილტრი, რომელიც შეზღუდავს უცხოტომელების რაოდენობას" — წერდა იტალიური კომუნისტური გაზეთი „უნიტა" სტატიაში „იმიგრანტები" 1989 წლის 9 სექტემბერს მეოთხე გვერდზე.

PLINY

NATURAL HISTORY

WITH AN ENGLISH TRANSLATION IN TEN VOLUMES

VOLUME II

LIBRI III-VII

BY

H. RACKHAM, M.A.

FELLOW OF CHRIST'S COLLEGE, CAMBRIDGE

LONDON

WILLIAM HEINEMANN LTD

CAMBRIDGE, MASSACHUSETTS

HARVARD UNIVERSITY PRESS

M MXLV..

### XV თავი
### კასპიის ზღვა და ჩრდილოეთის ოკეანე

სკვითების ზღვა აზიის მეორე მხარეს იჭრება ხმელეთში. ამ ადგილებს რამდენიმე სახელი აქვს, რომელთაგან უფრო ორია ცნობილი — კასპიის ზღვა და ჰირკანიის ზღვა. კლიტარქე თვლის, რომ კასპიის ზღვა შავი ზღვის ტოლია; ერასტოფენეს აზრით, კასპიის ზღვა სამხრეთ-აღმოსავლეთით ქადუზეთისა და ალბანეთის გასწვრივ 725 მილის სიგრძისაა, აქედან ატიეს, ამარბისა და ჰირკანეთის გავლით მდინარე ზონის შესართავამდე 600 მილია, აქედან მდინარე იაქსარტემდე 300 მილია, ამგვარად კასპიის ზღვის სიგრძე 1575 მილი გამოდის. არტემიდორე 25 მილით ნაკლებს ანგარიშობს. აგრიპა დარწმუნებულია, რომ კასპიის ზღვა მოიცავს 2500 მილს იმ ყურეთურთ, რომელიც მას აერთებს სკვითების ზღვასთან. ამ ყურეს წყალი კასპიის ზღვაში ჩადის ვიწრო და გრძელი კალაპოტით, შემდეგ ფართოვდება და ნამგლის ფორმას იძენს, როგორც მარკუს ვარონი წერდა. ზღვის პირველ ნაწილს სკვითების ყურე ეწოდება, რადგან მის ორივე მხარეს სკვითები ცხოვრობენ, რომლებიც ერთმანეთს ვიწრო კალაპოტზე გადასვლის გზით უკავშირდებიან: ერთ მხარეს ცხოვრობენ სავრომატები და ნომადები, ხოლო მეორე მხარეს ცხოვრობს **აბსუა** ხალხი.

**ტექსტი ლათინურ ენაზე. გვ. 364:** პრიმუს სინუს აპპელატურ სკითიკუს, უტრიმკე ენიმ აკკოლუნტ სკითე ეტ პერ ანგუსტიას ინტერ სე კომმეანტ ჰინკ ნომადეს ეტ სავრომატე მულტის ნომინიბუს, ილლინკ **აბსუა** ნონ პაუციორიბუს...

**ტექსტი ინგლისურ ენაზე: გვ. 365:** დე ფეერსთ ფაართ ოვ ით იზ ქოლდ დე სკითიან გალფ, ბიქოოზ დე ინჰებითანთს ონ ბოუთ საიდზ არ სკითიანზ, ჰუ ჰოულდ ქომმიუნიქეიშნ ექროსს დე ნეროუზ, ონ უან საიდ ბიინგ დე ნომადზ ენდ დე სავრომატე, ჰუ ჰევ ე ვერაიეთი ოვ ნეიმზ, ენდ ონ დეადერ საიდ დე **აბსუა**...

სკითე ნიშნავს სკვითებს, ნომადზ — მომთაბარეებს, აბსუა — აბსუა ხალხია, აბსუე — მრავლობით რიცხვშია. ჰ. რეკემმა ეს სახელწოდება უცვლელად გადაიტანა ინგლისურ ენაზე: **ქართულ ენაზეც მათ აბსუა ხალხის სახელწოდება შეეფარდებათ.** პირველი საუკუნის შემდეგ ამ ხალხის შესახებ ცნობა დაბეჭდა მხოლოდ იტალიელმა ბერმა ჯოვანი დე ლუკამ 1629 წელს. მან აღნიშნა, რომ „აბაცა" ხალხის ნაწილი თავის თავს „აბსნეს" უწოდებს, ისინი უცხოური გარეგნობით გამოირჩეოდნენ, ისინი **ჩრდილო-კავკასიიდან ახლახან ჩავიდნენ სამხრეთ კავკასიაშიო.** ე. შანტრის წიგნიდან „რეშერშე ანტროპოლოჟიკ"... ტომი 2. გვ. 132.

საქართველოში აბსუა ხალხი მცირერიცხოვანი იყო. ყველაზე სანდო ევროპელი მეცნიერის, დიუბუა დე მონპერეს ცნობაა. ცალკე აბსუა ხალხის რაოდენობის შესახებ ცნობები არ არსებობდა. ფ. დიუბუას საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ყველა ოფიციალურ საბუთს. ფრანგულ ენაზე მან დაბეჭდა ცნობა, რომ 1839 წელს შავი ზღვის სანაპიროზე სულ რვა ათასი აფხაზი (და არა მხოლოდ აბსუა) ცხოვრობდა. „ლეზ აბხაზ პროპრემანტ დიტ" — რვა ათასი სულიაო.

¹) Celle des Abkhases proprement dits, de Anacopi à la Kélassour, forte de 8,100 âmes.

2) племя собственно абхазов, расположенное от Анакопа до реки Келасури, равное 8.100 человек;

რადგან ფ. დიუბუა და მისი წყაროც — რუსული სტატისტიკური ცნობარი — აფხაზეთის მოსახლეობაში ქართველებს ცალკე არ ასახელებს, ქართველებიც ამ რვა ათას სულშია საგულისხმებელი. ეს ცნობა აფხაზეთიდან მაჰმადიანების თურქეთში გასახლებამდეა დაბეჭდილი. მთლიანად აფხაზეთში 1840 წლისთვის 52 ათასი სული ცხოვრობდა. გასულ საუკუნეში ყველა მკვლევარი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი უმნიშვნელოდ იყო დასახლებული, რადგან ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ხალხი ემებოდა მკვიდრ მოსახლეობას, თავად ადიღე ხალხები ერთმანეთს ემებოდნენ. ყველა მეცნიერი, მათ შორის ფ. დიუბუაც წუხდა, რომ სწორი სტატისტიკური ცნობები კავკასიის მოსახლეობის შესახებ არ არსებობდა. არაქართველი მოხელეები აკნინებდნენ მკვიდრი ქართველი მოსახლეობის რაოდენობას. უკანონოდ ზრდიდნენ ცნობებს არაქართველი ხალხების რაოდენობის შესახებ. ფ. დიუბუამ ეს ფაქტი აღნიშნა თავის წიგნში ოსების რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებითაც (ტ. 4, გვ. 457). რუს მოხელეს რ. გორდეევს მიაწოდეს ცნობა ოსთა სახლების რაოდენობის შესახებ, ცხადია მეტობით. ოსების სახლების რაოდენობა გორდეევმა გაამრავლა ათზე, ესე იგი ალალბედზე კომლში ათი სული ჩათვალა. ფ. დიუბუა აღშფოთებული იყო ამგვარი უპასუხისმგებლობით, მან აღნიშნა, რომ იმ მიწურ ქოხებში, სადაც ოსები პირუტყვთან ერთად ცხოვრობდნენ, კომლში ათი სული კი არა, ორი-სამი სულიც არ უნდა იგულისხმონ. შემდეგ ის წერდა, რომ ქალების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო მამაკაცების რაოდენობაზე. ამდენად მათი თანაბარი რაოდენობის ალალბედზე ანგარიში, შეცდომაა. ფ. დიუბუამ გორდეევის სტატისტიკური ცნობების რიცხვები ორჯერ და სამჯერ გადიდებულად ჩათვალა. თუნდაც აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა მთლიანად — 52 ათასი სწორად ჩავთვალოთ, ხომ ცნობილია, რომ აფხაზეთიდან 50 ათასი სული გადასახლდა თურქეთში. გადასახლება მოხდა ვ. გორდეევის და ფ. დიუბუას სტატისტიკური ცნობების გამოქვეყნების შემდეგ. ამგვარად, აფხაზეთის რეგიონის მთელ მოსახლეობას, 52 ათასს, უნდა გამოაკლდეს თურქეთში გადასახლებული ხალხის რაოდენობა, ანუ 50 ათასი, დარჩება ორი ათასი სული აფხაზი. აფხაზში ცხადია პირველ რიგში ქართველები, ნამდვილი აფხაზები უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო აბსუა ენაზე მოლაპარაკე ხალხი ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთ კავკასიაში უღელტეხილით გადმოდიოდა და იქვე სამურზაყანოს ჩრდილოეთით იკავებდა მიწებს. უფრო ჩრდილოეთით ზღვის ნაპირზე ადიღე ხალხები ჩამოსახლდნენ. სახელწოდება „ჩარქასი" თურქებმა უწოდეს ადიღე ხალხს და ნიშნავს შარაგზის ყაჩაღებს. ევროპელმა მეცნიერებმა გასულ საუკუნეში ყურადღება მიაქციეს ამ ფაქტს: კირკასია შავი ზღვის ნაპირთან ანტიკურ ხანაშიც იყო ცნობილი, მაშინ კი თურქები აქ არსად იყვნენ, რომ ადიღე ხალხისთვის სახელი ეწოდებინათ. ამდენად კირკასია არ იყო ადიღე ხალხების საცხოვრისი. კირკა-კირკასია, კირკინეთის სრუტე, აიას კონცხი — ქართველი ქალის, ლეგენდარული წამალთმცოდნე კირკას სახელთან არის დაკავშირებული და არა თურქულ სიტყვასთან „ჩარქასი". კირკას ტაძარი იტალიაშიც კი იყო აგებული პირველ საუკუნეში და ქურუმები იქ წამლებს ამზადებდნენ, კირკას, როგორც ღმერთს ემსახურებოდნენ. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში კირკას შესახებ ცნობა არ არის შეტანილი.

ყველა ევროპელი მკვლევარი აღნიშნავდა, რომ ადიღე ხალხები, აბსუა ხალხიც XIX საუკუნეში იმ დონეზე იდგა თავისი ყოფით, როგორიც ორი ათასი წლის წინ ახასიათებდა ვანდალებს, გუთებს, ალანებს.

კოლხები 3000 წლის წინათაც მაღალი ცივილიზაციით გამოირჩეოდნენ. დღესაც უცხოელი მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არანაირი ნათესაობა ქართველ და ჩრდილო კავკასიელ ხალხებს შორის არ შეინიშნება არც ენის, არც ისტორიის, არც ყოფის მხრივ. ჩრდილოეთ კავკასიაში ეკატერინე მეორის დროს ჩასახლდნენ ციმბირელი ხალხები (ამ ხალხების აბსუა ხალხთან ნათესაურ კავშირზე გაზეთ „სახალხო განათლებაში" 1990 წლის 30 მაისს დაიბეჭდა პროფესორ გივი ნებიერიძის დასაბუთებული მიმოხილვა). მანამდე იქ მონღოლებიც, სპარსებიც და სხვა ტომის ხალხიც მრავლად იყვნენ.

ამერიკელი კავკასიოლოგი სირილ თუმანოვი 1963 წელს წერდა, რომ „ჩრდილო-კავკასიელ ხალხებს ისტორია არ გააჩნიათ" („სთადიზ ინ ქრისჩენ კოკეიჟენ ჰისთორი", გვ. 11, ნიუ-იორკი), ესე იგი, მათ შესახებ იმდენად ბუნდოვანი ცნობებია მოღწეული, რომ ამ ხალხების ისტორიის დაწერა შეუძლებელია. მართალია, საბჭოთა პერიოდში დაიწერა მათი ისტორია, მაგრამ მოვლენები არასწორად არის გაშუქებული. ამიტომ მიდიან ხოლმე ისეთ მცდარ დასკვნებამდე, რომ დავით ბაგრატიონი, თამარის მეორე ქმარი — ქართველი კი არა, ოსი იყო; რომ თვით თამარიც და შოთა რუსთაველიც ოსები ყოფილან (პროფესორი გიორგი თუგიათი), რომ ბაგრატიონები აბსუები ყოფილან (აბსუა ისტორიკოსების აზრით).

პლინიუსის მესამე საყურადღებო ცნობა შეეხება გეორგებს, გეორგ ხალხს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ რეგიონს ავტორი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან უახლოვდება. ჯერ ევროპას აღწერს, შემდეგ მდ. დონს, რომელიც აზიის და ევროპის საზღვრად და აზიაში გადმოდის დონის სამხრეთით.

363-ე გვერდზე არის შემდეგი ტექსტი: „არიმფეების სამხრეთით სკვითები, კიმერიელები, ცისები, ანთები, **გეორგები** და ამაზონები სახლობენ". ამაზონები კასპიის ანუ ჰირკანიის ზღვამდე სახლობენ". „**გეორგები**" მხოლოდ ქართველების სახელწოდებაა. ჩრდილო-კავკასიაში ქართველები, გეორგები მკვიდრი მოსახლეობა იყო. ქართველი ტომები დამკვიდრებულნი იყვნენ როგორც ჩრდილო კავკასიაში, ამასთან კავკასიონის ქედისგან საკმაოდ მოშორებითაც, — ასევე ხერსონესში ანუ ყირიმის ნახევარკუნძულზე. გეორგები სავსებით განსხვავდებოდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე მცხოვრები სკვითური ჯგუფის ხალხებისგან. ყირიმში დამკვიდრებული გეორგები იმდენ მარცვლეულს იწევდნენ, რომ თვადაც ჰყოფნიდათ და ჰყიდდნენ კიდეც. ისინი სახლობდნენ ყირიმის სამხრეთ ნაწილში მდინარე პანტიკაპეის სამხრეთით. მდინარის მეორე მხარეს, სკვითები, მომთაბარე ხალხი დადრწოდა, რომელთაგან გეორგები თავს იცავდნენ ციხე სიმაგრეებითა და გალავნებით. არც ლათინურ ტექსტში, არც ინგლისურ თარგმანში არ ასახელებს პლინიუსი და მისი მთარგმნელი აქ მიწათმოქმედ სკვითებს. ტექსტში არის მხოლოდ ეთნიკური სახელი „გეორგი", არანაირი განსაზღვრება მას არ ახლავს. სათანადოდ არის აღნიშნული, რომ გეორგები კულტურული, კეთილი, მშვიდობისმოყვარე ხალხი იყო. გეორგებში კოლხები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც თუ მანამდე არ იყვნენ ყირიმში დამკვიდრებულნი, მითრიდატე დიდის დროს, ძველი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში მაინც დასახლდებოდნენ იქ.

ამგვარად, ქართული მოსახლეობა ყირიმის სამხრეთ ნაწილში უძველესი დროიდან (მედეას და კირკეს დროიდან) არის საგულისხმებელი, ხოლო სტრაბონი და პლინიუსი პირდაპირ მიუთითებენ, რომ ყირიმის სამხრეთი ნაწილი გეორგების ქვეყანა იყო.

პლინიუსის მეოთხე საყურადღებო ცნობა ეხება დიოსკურიას. დიოსკურია კოლხური ქალაქია, წერდა პლინიუსი, ტომი 2, ლათინური ტექსტი გვ. 348, ინგლისური ტექსტი გვ. 349.

urbe Colchorum Dioscuriade iuxta fluvium Anthemunta nunc deserta,

with the Colchian city of Dioscurias on the river Anthemus, now deserted,

колхийским городом Диоскуриадой

„ურბე კოლხორუმ დიოსკურიადე იუქსტა ფლუვიუმ ანთემუნთა ნუნკ დეზერტა".

„უიდ დე კოლხიან სითი ოვ დიოსკურია ონ დე რივერ ანტემუს, ნაუ დეზერტიდ".

„კოლხური ქალაქი დიოსკურია მდინარე ანტემზე, რომელიც დღეს დაცარიელებულია".

(ნაწყვეტები პლინიუსის ისტორიიდან რუსულად თარგმნა ვ. ლატიშევმა).

პირველ საუკუნეში დიოსკურიასთან მრავალეროვანი კი არა, ერთგვაროვანი კოლხი მოსახლეობა იყო, რომლის დიდ ნაწილს კოლხთა ერთი შტო — სვანები შეადგენდნენ. ეს საკითხი უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც უდავოდ არის აღიარებული (ს. თუმანოვი, ფ. დიუბუა და სხვ.).

**დასკვნა: აბსუა ხალხის სამშობლო:**

აბსუა ხალხის სამშობლო ჩრდილო-კავკასიის ჩრდილოეთით მდებარე მხარეა. ეს საკითხი კარგად გააშუქა ჯერ კიდევ 1840 წელს ევროპელმა მეცნიერმა, სტრასბურგის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ. მან რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I რომანოვის დავალებით საგანგებოდ შეისწავლა და გაარკვია კავკასიაში მცხოვრები მკვიდრი და არამკვიდრი ხალხების ეთნოლოგია, რისთვისაც საფრანგეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 1838 წლის ჯილდო დაამსახურა.

აბსუა ხალხის სამშობლო თვალსაჩინოდ წარმოადგინა ფ. დიუბუამ რუკაზე. ეს რუკა დაიბეჭდა შვეიცარიაში 1840 წელს ფ. დიუბუას შვიდტომიანი სამეცნიერო გამოკვლევის, „კავკასიის აღწერის" მეშვიდე ტომში, „ატლასში".

აბსუა ქვეყანა უძველესი საუკუნეებიდანვე კასპიის ზღვის ჩრდილოეთით იყო. საყოველთაოდ ცნობილი ისტორიკოსი, პლინიუსი წერდა, რომ აბსუა ქვეყანა მდებარეობდა ჩრდილო-კავკასიის ჩრდილოეთით, მშვენიერ ველებზე. შავი ზღვის სანაპიროზე მაშინაც სვანები ცხოვრობდნენ. ცხუმში კი სვანეთის მეფე-მთავარი იჯდა.

1921 წელს სამოქალაქო ომით გატანჯული ბოლშევიკების მიერ აბსუა ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრისას დაშვებული შეცდომა არ არის გასაკვირი. საქართველოს მიმართ ბოლშევიკების მიერ ჩადენილი ეს შეცდომა დღესაც შეიძლება გამოსწორდეს.

**ნათელა ფოფხაძე**

# წერილები „ახალგაზრდა ივერიელს"

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა ახლახანს მოვინახულეთ ზარზმა. მხნედ დაგვხვდა მრავალჭირგამოვლილი, ერთი შეხედვით არა უშავდა რა, მაგრამ მისმა მომვლელმა ქალბატონმა გოგუცა ლობჟანიძე-გავაშელმა გვიამბო დაფარულ ტკივილზე, რომელიც ძლიერ აწუხებს ზარზმას.

თექვსმეტი წლის განმავლობაში აქ არ ჩატარებულა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელთაც ასე საჭიროებს ტაძარი. კედლები დაბზარულია, ცვივა ბათქაში. ზამთარ-ზაფხულ წვიმის ჟამს და მითუმეტეს დიდთოვლობისას სახურავიდან წყალი ჩამოდის, რის გამოც ნესტში და სიველეშია ფრესკები. სარქველს არ ცვლიან იმ მოტივით, რომ ისტორიულია, მაგრამ რაღაც ზომები ხომ უნდა გატარდეს ფრესკების დაცვის მიზნით. ტაძარი რვა თვეა მომქმედი გახდა და ახლა უფრო საჭიროებს ზრუნვასა და პატრონობას. წინამძღვარი მამა გიორგი ძალღონეს არ იშურებს, შეძლებისდაგვარად უვლის, მაგრამ ეს შრომა წვეთია ზღვაში.

ბატონი ზვიად გამსახურდია ყოფილა რამდენიმე კვირის წინ. როგორც ქალბატონმა გოგუცამ გვითხრა, გაცნობია მდგომარეობას. შემდგომ ამისა ეტყობა სპეციალისტებიც ჩასულან, მაგრამ რა? უკმაყოფილებაც კი გამოუთქვამთ, ჩივილი რაში დაგჭირდათო. თქვენ წარმოიდგინეთ ზარზმას სახურავის ახდითაც დამუქრებიან. ვინ იყვნენ? ქალბატონი გოგუცა გვპასუხობს: „აბა რა ვიცი, ასე კი თქვეს".

კმარა რაც შეირყვნა და განადგურდა. წმინდანებს თვალები არ უჩანთ ნაკაწრებიდან, ხელები კი ჯვრების ნაცვლად, ბარბაროსთა სახელებით აქვთ „დამშვენებული". ვის და რომელი ეროვნების წარმომადგენელს არ შეხვდებით ამ კედლებზე: მ. ფარცხაძე, გობეჯიშვილი, „აქ ვიყავით ქუთაისიდან ლეო ჭეიშვილი", მარგო+ეთერი, ჭაბუკიანი, ლალი კილაძე, ჩიკვილაძე, სულთანიშვილი, შორუპკინი, ვალია-კოლია, კარაპეტიანი, ახმედ აკულაზინი, მოსესბეკოვი, ვანია სამადუროვი და სხვანი, რომელთაც რაღაც სამიოდე კვირის წინ ვინმე ბუცხრიკიძე დაემატათ.

სხვა მრავალი გასაჭირი აქვს ტაძარს ისევე, როგორც მის მრევლს. შვიდი ქართულ-მართმადიდებლური ოჯახია ზარზმაში. ასი კომლი კი მუსულმანური ორიენტაციის ქართული მოსახლეობაა. ვინ შეიწუხებს თავს ტაძრისათვის თუ არა ისევ თითზე ჩამოსათვლელი ქრისტიანები, რომელთაც არავითარი სახსრები ამისათვის არ გააჩნიათ. შემოწირულების სახით შემოსული კაპიკები კი საქმეს ვერ შველიან. არც ზამთარია ცხრა მთას იქით, რაღაც ვიღონოთ, რომ სახურავიდან წყალი მაინც არ ჩამოვიდეს.

ვიცით, რომ გვიჭირს ყველგან და ყველაფერში, მაგრამ გზა მაინც უნდა გამოინახოს „ურმის გადაბრუნებამდე".

**მარინე ესართია,**
**თამარ კერესელიძე,**
**ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები.**

**ავტორთა თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება ძეგლთა დაცვის ფონდში.**

●

**ძვირფასო რედაქცია!**

არავისთვის არ იქნება ახალი, თუ ვიტყვი, რომ ბოლო დროს როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებსა და ცენტრში, დაიძაბა მდგომარეობა. 1989-1990 წლები ხომ დაუვიწყარი იქნება ყველა ქართველისა და საქართველოში მცხოვრები ერებისათვის. რამდენი ცრემლი, დაძაბული დღეები, სისხლი, შაოსანი დედების მომრავლება... და ამ დროს, როგორც ცის ჰექა, გაისმა სეფიაშვილის სიმღერა მორის ფოცხიშვილის ლექსზე — „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები". ეს ოდითგანვე მოსწამს ქართველს, — გაჭირვების ჟამს სიმღერისა და ცეკვის შემწეობა, მაგრამ ცხრა აპრილის დღეების შემდეგ ენით აუწერელი და შთამბეჭდავი იყო ამ სიმღერის მოსმენით გამოწვეული გრძნობა. ასე ამაღლებული, ერთიანი, ერთი სულისკვეთებით ქართველი არასდროს არ მენახა. ყოველივეს მოჰყვა მართალი სიტყვა. გაბედულად, ჟურნალისტისათვის დამახასიათებელი შემართებით დაიწერა წერილები გაზეთებში; ვიგრძენი სიტყვის თავისუფლება (კარგი გაგებით). არ გასულა რამდენიმე ხანი და ჩემი ყურადღება მიიპყრო გურამ პეტრიაშვილის წერილებმა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ". მისასალმებელი და მოსაწონია ქართული ენის სიწმინდისათვისა ბრძოლა, მაგრამ ზოგ რამეში ვერ დავეთანხმები ბატონ გურამს. მაგალითად, როდესაც წერს: „ბუჩქებში რომ ვიღაცეები სხედან და გვითვალთვალებენ, ცოტა ჰკუაზე აფრაკად ხომ არ არიან თავიანთ პედაგოგთან ერთადო", შალვა ამონაშვილს ჩვენ ვიცნობთ, როგორც პედაგოგს, მეცნიერს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ბევრი უარყოფითი მხარეც, მაგრამ განა შეიძლება მისი ასე გაუთავებლად ლანძღვა?

აუხდენელ ოცნებად დამრჩა თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა. ვაღმერთებდი და კვლავ ვაღმერთებ ეროსი მანჯგალაძეს, ვერიკო ანჯაფარიძეს, სოფიკო ჭიაურელს, რამაზ ჩხიკვაძეს და ვინ ჩამოთვლის მათ დიდებულ სახელებს, ჰოდა, ამ დროს ჩემი სათაყვანებელი მსახიობი კოტე მახარაძე „გიჟ-ვრაცუათი" მიმართავს ბატონ გურამ პეტრიაშვილს. ახლა პეტრიაშვილის საპასუხო წერილს ველი. ვნახოთ, რა მოხდება...

ბატონ ხუტა ბერულავას სიტყვებს თუ ვირწმუნებთ, თ. წიწვაძეს ისეთი უნარი აქვს, რომ თურმე მის სიტყვებს ადამიანი შეუძლია „ჭკუის" ან „მუხათგვერდის" გზას გაუყენოს. ან თავად ხუტა ბერულავას კაბინეტის აჭედილი კარები რომელი „ინტელიგენტის" ნამოქმედარია?! აღარაფერს ვამბობ სხვათა და სხვათა კრიტიკულ სტატიებზე. ასე მალ რად დაივიწყეს სიტყვები „ვაჩუქოთ ერთმანეთს გულები... სითბო". ასეთი მოქმედება გულის ჩუქებაა თუ გულის გახეთქვა?!

თქვენი ყურადღება ერთ გარემოებაზე მინდა შევაჩერო: 1 და 5 მაისის „ახალგაზრდა ივერიელში" მოთავსებულია ინფორმაციები — „ეროვნული ფორუმის განცხადება (I, V)* და მისი საპასუხო „მიმართვა" ქართველი ერისადმი" (5.V), საიდანაც ირკვევა, რომ ეროვნულ ფორუმშიც მომხდარა განხეთქილება, საქმე სროლამდეც კი მისულა. ეროვნულ მოძრაობასაც გაუჩნდა ბზარი..

კომკავშირული ორგანიზაცია უარვყავით, პარტიას არ ვენდობით; ახალგაზრდებმა ვიფიქრეთ, გავყვეთ წმინდა საქმეს — ეროვნულს. ახლა ლიდერებად გამსახურდია და წერეთელი მივიჩნიეთ, მაგრამ მათაც ვერ შეინარჩუნეს ერთობა, ჰოდა, დავრჩი ასე გაოგნებული. მისაბაძი პიროვნება, ჩემი იდეალი ჯერ ვერ ამომირჩევია; ყველას ეჭვის თვალით ვუყურებ.

ვფიქრობ, ხომ არ ავიღო ხელი ჩემს გადაწყვეტილებაზე, გავხდე ჟურნალისტი. ნუთუ კრიტიკა ეთიკური ნორმების დაცვით, ერთმანეთის დამცირებისა და ღვარძლის გარეშე არ შეიძლება?!

გამოგიტყდებით: უკვე მეშინია საყვარელი გაზეთების გადაშლა. ვიდრე გადავშლიდე, ვფიქრობ, — ნეტავი ამ ნომრებში ვისი ჯერი დადგა, ვინ არის დღევანდელი გაზეთების მსხვერპლი, რომელი ქართველი გაუდგება გზას „მუხათგვერდისაკენ", იმავე ქართველის დახმარებით და „საჯაროობით"?!

სასაფლაოებისაკენ დღეს მარტო კრიტიკით „გულგახეთქილები" არ მიდიან, დანით განგმირულებიც წვანან იქ, ქართველი ქართველს აღარ ინდობს. თითქმის ყოველდღე აცხადებენ დანაშაულის სახეობა იზრდებაო. ბოროტება, შუღლი, მოძმეჭელობა და მწარე სიტყვა ესმის ბავშვს პატარაობიდან და მერე გვიკვირს 15-18 წლის ახალგაზრდებს სული ასე რატომ გაუუხეშდათო. თუ კი რამ საყურადღებო და დასაფიქრებელია ჩვენთვის, იმას მალე უარჰყოფენ და ჩაახშობენ ხოლმე. რა ნახეს ცუდი ელ. ჩადუნელის მიერ უმაღლეს დონეზე დასაბუთებულ და გამართლებულ მოსაზრებაში „მალალკვალიფიციური კადრების მოსამსაზებლად" (ფასიან სწავლებას რომ გვთავაზობდა?) რამდენი ახალგაზრდა იგრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას მშობლის წინაშე, თუ არაფერს ვიტყვით თავად სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მაგრამ ვინ გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი?!... განა ეს არ არის დასაფიქრებელი?

და ბოლოს მინდა, რომ ყველამ ერთად, მთელმა საზოგადოებამ ვიფიქროთ არა მარტო განათლების მიღებაზე, არამედ აღზრდაზეც, რაც ასე გვაკლია დღევანდელ თაობას.

**ნინო ნადირაშვილი,**
**თბილისის 111-ე პოლიგრაფიული სასწავლებლის მოსწავლე.**

# საქართველოს სახელით



ხვალ სრულდება ზუსტად ერთი წელი აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიიდან. ერთი წელი, 365 დღე... თითქოს არც ისე ცოტა დროა იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანებზე თავდამსხმელთა უმრავლესობა დღემდე დაუსჯელი იყოს. მაგრამ ფაქტია, რომ ჯერჯერობით ძალზე იშვიათია ცნობა, აფხაზეთის სისხლიან ამბებში გარეული ესა და ეს კაცი შეპყრობილია და მძიმე დანაშაულისთვის სასჯელს იხდისო. მძიმე დანაშაულში კონკრეტულად მკვლელობას ვგულისხმობ, თორემ ადამიანის დაჭრისათვის, მორალური თუ ფიზიკური შეურაცხყოფისათვის, ან ქონებრივი ზარალისათვის პასუხისგებაში მიცემა იმასთან შედარებით, რაც ამ აქციის ერთ-ერთი ფაქტით დაინტერესებისას ამოტივტივდა, როგორც იტყვიან, სასაცილოც კია, სატირალი რომ არ იყოს.

ის, რაზეც ახლა გიამბობთ, შარშანდელი 15-16 ივლისის აფხაზეთის ამბების ერთი მონაკვეთია, კერძოდ, სოხუმის რკინიგზის სადგურზე აფხაზი ექსტრემისტების შეიარაღებული თავდასხმა, რომლის დროსაც 20 ადამიანი დაზარალდა, მათ შორის ერთმა — 12 წლის შალვა აბშილავამ სხეულის დაზიანებასთან ერთად მიიღო მეტად მძიმე ნერვული სტრესი (ბავშვს დღემდე მკურნალობენ), გარდაიცვალა ერთი — 19 წლის თბილისელი რამაზ მღებრიშვილი...

15 ივლისს ქალაქი სოხუმი ტყვიის კვამლში გაეხვია. ქართველებზე წინასწარ დაგეგმილი თავდასხმებისა და მკვლელობების აქცია განხორციელდა რუსთაველის პარკში, პირველ საშუალო სკოლაში და ლენინისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე. სოხუმის რკინიგზის სადგურზე მომხდარი ამბავი ამ აქციის ერთი ნაწილია: 16 ივლისს, ღამის 2 საათზე, იმ დროს, როდესაც ჩამომდგარი მატარებლებს დაახლოებით 2 ათასამდე მგზავრი ბაქანზე იყო გამოსული, სადგურზე შეიჭრა კამაზის მარკის ავტომანქანა, სახელმწიფო ნომერი 43-86 ГАХ, რომლიდანაც ხალხს ცეცხლი დაუშინეს. ეს ვანდალიზმი რა შედეგებითაც დამთავრდა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

ვინ იყვნენ სისხლიანი ღამის „გმირები"? წინასწარ გამოძიებით დადგენილია, რომ ე. წ. „კამაზის" საქმის მონაწილენი არიან ვ. ზუხბა — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების თანამშრომელი; ვ. გვინჯია — ქ. სოხუმის შინაგან საქმეთა განყოფილების საპატრულო სამსახურის მილიციელი; მ. ძიძარია — მილიციის უფროსი ლეიტენანტი; ა. გუნია — აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი; მოქალაქეები: ა. შაკრილი, მ. კვიწინია და ლ. ჩხოტუა. ამათგან პირველი სამი დაკავებულია და სამართალშია მიცემული.

„საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებმა" — ვ. ზუხბამ და მ. ძიძარიამ ბოროტად გამოიყენეს სამსახურებრივი მდგომარეობა. ნაცვლად იმისა, რომ წინ აღდგომოდნენ ექსტრემისტთა სისხლიან თავდასხმებს და დროულად აღეკვეთათ ყოველნაირი დარღვევები, რისი საშუალებაც მათ აშკარად ჰქონდათ, განზრახ, პირადი ქვენაგრძნობებით, რაც ეროვნულ საფუძველზე იყო აღმოცენებული, ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები: მოქალაქეთა დაჭრა, მკვლელობა, დაზიანდა საზოგადოებრივი ქონება, რომლის საერთო ზარალი განისაზღვრა 3943 მანეთის ოდენობით. წინასწარი გამოძიებით დადგენილ მათ დანაშაულს — მასობრივი არეულობების ორგანიზებაში აქტიურ მონაწილეობას — მიესადაგება სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 15 წლამდე. მართლაც რომ ზეჰუმანური კანონების მქონე ქვეყანაში ვცხოვრობთ...

„კამაზის" საქმის დანარჩენი სამი მონაწილე — ა. გუნია, ა. შაკრილი და გ. კვიწინია დღემდე მიმალულები არიან. რაც შეეხება ლ. ჩხოტუას, იგი იმ ღამეს მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. აქვე დავაზუსტებ, რომ „კამაზი" სადგურზე პირველი შემოჭრის შემდეგ სხვა მხარეს გაიჭრა და უკან მობრუნების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურა ცეცხლის ჯერი. ხოლო მას შემდეგ, რაც მან მესამე რეისი გააკეთა, უდანაშაულო, საოცრად დაბნეული ხალხის დასახმარებლად როგორც იქნა შინაგან საქმეთა განყოფილების სადგურ სოხუმის სახაზო განყოფილებამ მიიღო ბრძანება მოეგერიებინა თავდამსხმელი. ასე რომ, გაისმა საპასუხო სროლა, რის შედეგადაც დაიჭრნენ მ. კვიწინია, ა. გუნია და ლ. ჩხოტუა, რომელიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, გარდაიცვალა.

მაშ როგორ მოხდა, რომ ეს დაჭრილები, რომლებიც აშკარად აქციის მონაწილენი იყვნენ, იმ აქციისა, რომელმაც ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და, აქედან გამომდინარე, იმთავითვე ლოგიკურად ითვლებოდა მათგან ერთი მკვლელად, მეორე კი მკვლელობის თანამონაწილედ, დღემდე დაუსჯელნი არიან? ამ კითხვას ერთადერთი პასუხი მოეპოვება — დამნაშავეთა მფარველი კანონზე უფრო ძლიერია...

●

თბილისის დიღმის სასაფლაოზე, ცენტრალური შესასვლელიდან მარცხნივ, ქვემოთ, რა დროსაც არ უნდა გაიაროთ, შეხვდებით ახალგაზრდა ქალსა და მამაკაცს, ხან საფლავთან მოფუსფუსეთ, ხანაც მდუმარედ, თავჩაქინდრულსა და ფიქრებში ჩაძირულთ. ესენი ნინო და ვაჟა მღებრიშვილები არიან, რამაზის დედ-მამა. უსაზღვროა მათი სევდა, მოუშუშებელია იარა, ერთადერთი შვილის დამკარგავთ რით შეიძლება გული გაუმაგრო, ნუგეში სცე... ყველა შვილი შვილიაო, კარგიც და ცუდიც მშობლისთვის ერთი დარდი და სიხარულიაო — ამბობენ, მაგრამ როცა რამაზ მღებრიშვილს მეგობრები, პედაგოგები, მეზობლები, თუნდაც შორეული ნაცნობები იხსენებენ, ვრწმუნდები, რომ აფხაზეთში გასროლილმა ტყვიამ საქართველოს მოუკლა ერთი ნათელი ბიჭი. მართლაც რომ ბრმა ყოფილა ის ტყვია, თორემ ამ ღვთისნიერ, ალალმართალ, ზღვა სიკეთის მქონე ვაჟკაცს სიცოცხლე თავად როგორ შეელეოდა?

●

სადგურში შეჭრილი ავტომანქანა „კამაზის" კაბინიდან ხალხს ცეცხლს უშენდა სოხუმელი მერაბ კვიწინია. სწორედ მაშინ დაიღუპა რამაზ მღებრიშვილი, დაიჭრა მოქალაქეთა გარკვეული რაოდენობა. ამას მოწმეები ადასტურებენ. ასე, რომ მ. კვიწინია მკვლელობაში ეჭვმიტანილია. ცხადია, თავადაც იცოდა, რომ ამ აქციის მონაწილეთა თავისუფლებას შეიძლება „საფრთხე დამუქრებოდა", ამიტომ სასწრაფოდ მიიმალა, მოსკოვსა და ლენინგრადს შეაფარა თავი, ორთვენახევრის შემდეგ, როგორც იქნა, შეიპყრეს. დაკითხვისას მან არ უარყო 15-16 ივლისის სისხლიან ტრაგედიაში მონაწილეობა, უფრო მეტიც: აფხაზეთის ასსრ პროკურორისადმი მიმართულ განცხადებაში ისიც კი დაწერა, რომ გამოძიებას დაემალებოდა. არც „კამაზის" კაბინაში ყოფნის ფაქტი დაუმალავს, რაც, სხვათა შორის, ამჟამად გაქცეულმა მ. შაკრილმა და ვ. გუნიამაც დაადასტურეს თავიანთ ჩვენებაში. ასე, რომ მისი დაპატიმრებისათვის საკმაოდ ანგარიშგასაწევი მიზეზები არსებობდა. და მაინც... სამდღიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, „არასაკმარისი სამხილი ფაქტების გამო" ქ. სოხუმის პროკურორის ზ. ბარციცის, შემდეგ კი აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილის ლ. ჩერქეზიას მიერ არ იქნა გაცემული სანქცია მ. კვიწინიას დასაპატიმრებლად...

მართლაც, რომ საარაკო ამბავია. მე ის უფრო მაკვირვებს, 2 თვე საგულდაგულოდ მიმალული კაცის ძებნაში დახარჯული დრო და ენერგია მაინც როგორ არ დაენანათ?.. მაგრამ, როცა გავიგე აქ რა მექანიზმიც ამოქმედებულა, მივხვდი, რას გულისხმობდა კაცი, როცა ამბობდა — ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო: აფხაზეთის ასსრ პროკურორის, იუსტიციის უფროსი მრჩევლის ბატონ აპოლონ კვიწინიას თავის თავზე აუღია ის, რომ მისი მოგვარე და ნათესავი არსად დაიმალებოდა და თავადვე პირადად უზრუნველყოფდა ნებისმიერ დროს მის პროკურატურაში გამოცხადებას. უყოყმანოდ დაუჯერეს და.. მ. კვიწინიას დღემდე ეძებენ.

პროკურორ ა. კვიწინიას „თავგამოდების" შესახებ არაერთგზის დაიწერა საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორგანოში გაზეთ „ოქროს საწმისში", პასუხად გაზეთმა ა. კვიწინიასგან ასეთი ბარათი მიიღო:

«С письмом начальника следственного управления прокуратуры ГССР т. Квирквелия З. М. я категорически не согласен. Об этом своевременно сообщено.

По моей просьбе прокуратурами СССР и ГССР проводится служебное расследование.

О результатах сообщим дополнительно».

აქ კი კომენტარი უკვე მართლა ზედმეტია.

რაც შეეხება „ლტოლვილს", როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატონმა შოთა გორგოძემ განაცხადა, მასზე 1989 წლის 31 ოქტომბრიდან გამოცხადებულია საკავშირო ძებნა. როგორც ჩანს, მ. კვიწინია მართლაც მოუხელთებელია, ან...

●

19 ივლისს სოხუმის შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბში „კამაზის" საქმის სამი მონაწილის სასამართლო პროცესია დანიშნული. რესპუბლიკის საზოგადოებას ეჭვი ეპარება აფხაზეთის სამართალდამცავი ორგანოების ობიექტურობაში. დღეს უკვე ხშირად გაისმის მოთხოვნა, რომ 16 ივლისს სოხუმის სადგურზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმის მონაწილეთა — ვ. ზუხბას, ვ. გვინჯიასა და მ. ძიძარიას, აგრეთვე იმ პირთა მიმართ აღძრული საქმე, რომლებიც მონაწილეობდნენ 15-16 ივლისის აფხაზეთის აქციაში, განსახილველად გადმოეცეს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

ვიმედოვნებთ, ქართველი ერის ეს სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება.

**ნინო კლარჯეიშვილი**
**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**

# ისინი მარტო როდი არიან

ამას წინათ ფათერაკების მოყვარული ათიოდე ძნელადაღსაზრდელი გორში გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართულ საღამოზე მათთვის სრულიად უჩვეულო სიტუაციაში აღმოჩნდა: სცენაზე მდგომ ამ ბიჭებს, ყურადღებით რომ არასდროს გაუნებივრებიათ, ანთებული სანთლებით ხელში თანაგრძნობით შეჰყურებდათ მთელი დარბაზი. მერე ისინი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა.

— დღეიდან ეს ბიჭები აღარ იქნებიან აღრიცხვაზე მილიციაში, როგორც ძნელადაღსაზრდელები, — თქვა ჟურნალისტმა მაყვალა ოქროპირიძემ, სასჯელმოხდილთა ინტერესების დამცველი ასოციაცია „თავისუფლების" გორის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, — სამაგიეროდ მათ თვალ-ყური საზოგადოებამ უნდა ადევნოს. ნუთუ ჩვენ ყველას ერთად რამდენიმე მოზარდის აღზრდა გაგვიჭირდება?

„ყველანი სასჯელმოხდილები ვართ" — პატრიარქისა და სასჯელმოხდილების იმდღევანდელ შეხვედრაზე ხშირად გაისმოდა უწმინდესისა და უნეტარესის ეს სიტყვები. ასოციაციას კეთილ საქმეებთან ერთად მრავალი საზრუნავიც აქვს. ქართველი პატიმრები ოფლს უცხო მხარეში ღვრიან მაშინ, როცა საქართველოში მუშახელი ასე ჭირს. რაც მთავარია, ისინი იქიდან სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებულნი ბრუნდებიან. პატიმრები ცუდი პირობების გამო ჩვენს კოლონიებშიც ხშირად ავადდებიან ტუბერკულოზით. სასჯელმოხდილებს, როგორც წესი, უჭირთ სამუშაოს შოვნა, ახალი ცხოვრების დაწყება. მათ ყველგან ალმაცერად უყურებენ ხოლმე, ამ თვალსაზრისით, სასჯელმოხდილთა ოჯახის წევრები მთელი ცხოვრება სასჯელმოუხდელები არიან. ხშირად განთავისუფლებულებს სხვების გულგრილობა და არასრული რეაბილიტაციით შექმნილი ცხოვრების პირობები კვლავ ახალი დანაშაულისაკენ უბიძგებს. ამიტომაც მათ გვერდში ამოდგომა სჭირდებათ. ისინი ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად უნდა გრძნობდნენ თავს.

სწორედ ამ პრობლემებზე ისაუბრეს ჟურნალისტმა მაყვალა ოქროპირიძემ, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორმა ვლადიმერ გოგოლაშვილმა, სასჯელმოხდილებმა ალექსანდრე იკაშვილმა, ჰამლეტ ჩუბინიძემ, მურმან ქარქაშაძემ და სხვებმა.

— ასოციაცია „თავისუფლება", უპირველეს ყოვლისა, პატიმრებზე უნდა ზრუნავდეს, ისინი ადამიანურ პირობებში უნდა იხდიდნენ სასჯელს, — თქვა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, — სამწუხაროა, რომ სასჯელს ბავშვებიც იხდიან. ისინი ასაკობრივი უნებლიე შეცდომებისათვის ციხეში არ უნდა ჩავსვათ. იქიდან ხომ გამოსწორებული არავინ გვიბრუნდება, მაგრამ რწმენასთან ერთად ერთმანეთისადმი სიყვარული, სიკეთე და შენდობა დავკარგეთ. დაგლოცავთ ყველას — სასჯელმოხდილებსაც და ციხეებში მყოფთაც. ჩვენთან არს ღმერთი!

ამ შეხვედრაზე ფოკადან მცხეთამდე წმიდა ნინოს გზით ფეხით მომავალი მორწმუნეებიც მოვიდნენ. და საერთოდ, სასჯელმოხდილები იმ დღეს ნამდვილად არ იყვნენ მარტო.

**მორალისა და სამართლის განყოფილება.**

ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის" სათნოების ორდენი შაბათს, 14 ივლისს ქაშუეთის ტაძართან იწვევს ყველას, ვისაც სურვილი აქვს კვირაში ერთი დღე თავის უკიდურესად გაჭირვებულ თანამოძმეს დაუთმოს.

ორდენის წევრები ტაძრის ეზოში კვლავ 11 საათისათვის შეიკრიბებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ინტერვიუ ასპინძისხევის კომპლექსური ექსპედიციის ხელმძღვანელთან მალხაზ დათუკიშვილთან.**

**— წლევანდელმა პოლიტიკურმა მეტამორფოზებმა და დაუსრულებელმა დებატებმა იმდენად შთანთქეს ყველა დანარჩენი პრობლემები, რომ საზოგადოების ინტერესი საგრძნობლად შენელდა კულტურისა და მეცნიერებისადმი. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— როდესაც ადამიანი ბუნებით ხელოვანია ან განათლებით მეცნიერი, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, პატიმარიც რომ იყოს, მაინც ახერხებს ხელოვნებასა და მეცნიერებაზე ფიქრს, შესაძლოა წიგნსაც სწერდეს ციხის საკანში, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, მაგრამ უპირველესი მისი ოცნება, საზრუნავი და საფიქრალი თავისუფლებაა მაინც. როდესაც ღდება პატიმრისათვის რეალური შესაძლებლობა დაიბრუნოს თავისუფლება, ბუნებრივია ეს ერთი უმთავრესი აზრი დაიპყრობს მის გონებას, მის არსებას, რადგან სწორედ შემოქმედი ადამიანისათვის არის ყველაზე აუტანელი ბორკილების ტარება. აქედან გამომდინარე, რა გასაკვირია თუ ცოდნისა და მშვენიერების მაღმერთებელმა ჩვენმა ერმა დროებით ყველაფერი გადაივიწყა და დღეს დიდი თუ პატარა ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნებობს, ეს ხომ ერთადერთი გზაა იმპერიულ ტოტალიტარიზმით გათელილი პიროვნებისათვის ადამიანური უფლებების დასაბრუნებლად.

იმპერიის ნგრევას ყოველდღიურ, არაარსებით ღირებულებათა გადაფასება სდევს კვლავ და ერთი შეხედვით ქაოსსა აქვს ადგილი, მაგრამ სინამდვილეში შერყვნილი ზნეობის აღდგენა ხდება, იმსხვრევა ბოროტების ბატონობის საფუძველი, ილეწებიან უსაშინელესი საპატიმროები, ემხობიან კერპები და ერი ხელახლა ეწაფება მარადიულ სულიერ ღირებულებებს, კათარზისი ხდება ჩვენს ცხოვრებაში და ეჭვი არ მეპარება, რომ გათავისუფლებული საქართველო მალე მთელი ბრწყინვალებით წარმოაჩენს თავის ჩაუქრობელ ეროვნულ მსოფლხატს კაცობრიობის წინაშე.

**— წელს რა ბედი ეწევა ასპინძისხევის ექსპედიციას?**

— ექსპედიცია უეჭველად უნდა მოეწყოს. გასულ წელს საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მუშაობა, რადგან დავით აღმაშენებლის საზოგადოებამ ამ ექსპედიციის მოსაწყობად გადაურიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ათი ათასი მანეთი, ხოლო სატრანსპორტო მომსახურეობითა და საველე-საცხოვრებელი ინვენტარით ექსპედიცია საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ უზრუნველყო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბ-ნ გურამ ფანჯიკიძის თანადგომას, რადგან დავით აღმაშენებლის საზოგადოებიდან მიღებულმა თანხამ საშუალება მოგვცა გაგვეფართოვებინა სამუშაოთა მოცულობა. გარდა ამისა, შედგა ცხენოსანთა მცირე ჯგუფი და გავაღრმავეთ ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებანი, გადავიღეთ ფერადი ფილმი სამცხე-ჯავახეთისა და თორის ძეგლების შესახებ და ა. შ.

მიმდინარე წელსაც იმედი გვაქვს, რომ დავით აღმაშენებლის საზოგადოება არ შეწყვეტს ასპინძისხევში თავის საქველმოქმედო საქმიანობას, რომლის შედეგადაც აღდგება სამი ეკლესია და ჩატარდება მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა აღნიშნულ რეგიონში.

**— რას გვეტყვით ექსპედიციის მუშაობის შესახებ.**

— ასპინძისხევის კომპლექსურ ახალგაზრდულ ექსპედიციას (ასეთია მისი სრული დასახელება) სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევს თსუ ქართული კულტურის ისტორიის კათედრა (პროფ. გურამ ლორთქიფანიძე) და საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმი. ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ თბილისის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და ახალგაზრდა მეცნიერები.

ექსპედიციის კომპლექსურობა გულისხმობს არქეოლოგიურ დაზვერვებს, წმენდით სამუშაოთა წარმოებას, ფოლკლორულ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევას, ხალხური მედიცინის შესწავლას, კინოდოკუმენტალისტთა მუშაობას და ა. შ.

ექსპედიციის უმთავრესი ობიექტია შორეთის სამონასტრო კომპლექსი, ღირსშესანიშნავი თავისი მონუმენტურობით, მოზაიკით, ადგილმდებარეობით, არქიტექტურული თვითმყოფადობით.

ძეგლის არქიტექტორ-რესტავრატორია ქ-ნი თამარ ნემსაძე, რომელიც კოლეგებთან ერთად მეხუთე წელია ურთულეს პირობებში მუშაობს მის აღსადგენად.

არქეოლოგიურ-საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობენ ბ-ნი გივი გაფრინდაშვილი და ასპინძის რუსთაველის მუზეუმის დირექტორი ბ-ნი ნუგზარ ზაზაძე.

მუშაობაში ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევენ ასპინძელი და ოთელი მოსწავლეები, რაც გამოიხატება ფრესკებიდან ჩამოცვენილი და დაფანტული მოზაიკის კენჭების მოძებნასა და შეგროვებაში ნაშალი მიწის ცრის გზით.

ფაქტობრივად უკვე შესაძლებელია სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება, რადგან გაწმენდილია კედლების ძირითადი ნაწილი, რომელიც მიწით იყო სამ-ოთხი მეტრის სიმაღლეზე დაფარული. თავდაპირველად ულრან ტყეში, უგზოდ და გარესამყაროსაგან სრულიად მოწყვეტილებს გვიძნელდებოდა ცხოვრებაც და მუშაობაც, ამჟამად კი ეს ხიბლი დაიკარგა გზის გაყვანის გამო, მაგრამ სამაგიეროდ რესტავრატორებს მოეხსნათ ამით უმთავრესი დაბრკოლება.

წმენდითი სამუშაოები დავიწყეთ ოლართის ეკლესიაზეც, ხოლო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჯამიეთის მონასტრის შეფობა გადაწყვიტეს და მიმდინარე წელსაც გააგრძელებენ მუშაობას ასპინძისხევის ექსპედიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

**— ალბათ საინტერესოა უფრო კონკრეტული ინფორმაციაც ასპინძისხევისა და შორეთის მონასტრის შესახებ.**

— შორეთის სამონასტრო კომპლექსი ტყით დაფარულ მთაზე მდებარეობს ასპინძისხევში. ხეობა მეტად საყურადღებოა არა მარტო ძეგლებითა და განუმეორებელი ბუნებით, არამედ იმითაც, რომ აქ შუა საუკუნეებში გადიოდა მეტად მნიშვნელოვანი საურმე გზა სამცხიდან თორში. ამ გზით დღესაც ვსარგებლობთ და ვფიქრობთ მიზანშეწონილი იქნებოდა მისი კეთილმოწყობა. ამ გზას შვიდი ციხე-სიმაგრე იცავდა: ასპინძის, აგარის, ოთის, შორეთის, ტაიჭის, ვარაზასი და ციხისჯვრისა (აქედან, ტაიჭი ან ჭაიტა 1987 წელს იქნა ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ტყეში).

ასპინძისხევი სვეტიცხოვლის საკათალიკოსო მამულებს ეკუთვნოდა, იხსენიებოდა ასე: „ოთის ციხე კარის ეკლესიითა და მონასტრითა...“ ოდესღაც ნათალი ქვით მოპირკეთებული ფეოდალური ციხედარბაზი (სახევისუფლო), ლამის საძირკვლამდეა დარღვეული, კარის ეკლესია ერთ-ერთი კოშკურის ეზოში იდგა და მის ნანგრევებს ბოსლად იყენებდნენ. ექსპედიციამ 1988 წელს გაწმინდა და საკონსერვაციოდ მოამზადა ძეგლი, შემოღობა, მაგრამ ოთელ მოსახლეს საკარმიდამო ნაკვეთი დღემდე არ გამოუყო რაიონის ხელმძღვანელობამ საკომპენსაციოდ. მონასტრის შესახებ ვახუშტი სწერს: „ასპინძისხევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შუენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფიის კენჭით და აწ ცარიელი“. „ოთხ კუთხივ ხატები სრულ მუზაიტის კენჭით ჩაწყობილი, იატაკი მწვანის ჩინურით მოფენილი“ — ამატებს ივანე გვარამაძე. მე-19 საუკუნის შუახანებში მარი ბროსემ მოინახულა შორეთი. ნოემბრის დამლევს მაჰმადიან ქართველ — ქიამილბეგთან ერთად ასულა მუხლამდე თოვლსა და ყინვაში. დაკარგულად ითვლებოდა მის მიერ მაშინ ნაპოვნი ასომთავრული წარწერა „იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო შეიწყალე კათალიკოსი მიქაელ“, რომელიც გათხრების შედეგად პირველ წელსავე აღმოჩნდა. მონასტრის სამშენებლო წარწერაში მოხსენებულია ... „გალატოზთ უხუცესი ნიკოლოზ ორბისძე“, რომლის გამოსახულებასაც წარმოადგენს ვფიქრობთ შარშან ნაპოვნი ბარელიეფი მამაკაცისა გონიოთი ხელში.

აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა: „ქრისტე შეეწიე ნიკოლოზ ცოდვილის“, — სამრეკლოს პირველი ქართულის კარნიზის ქვა, „ქრისტე შეიწყალე ნიკოლოზ ცოდვილი“ — მთავარი ტაძრის პირველი სართულის დას. კედლის შესასვლელი თაღის საყრდენი ქვა, აგრეთვე მოზაიკური ფრაგმენტები, ფრესკების ნაშთები, „მამათავრის“ ფრესკა შესაბამისი წარწერით...

გასაოცარი სიდიადით წარმოგვიდგა მთავარი ტაძარი წმენდითი სამუშაოების დასრულების შემდეგ. აღმოჩნდა სხვადასხვა დროის დამზადებული კანკელის ნიმუშები, ქვისა და თიხისაც. საერთოდ მონასტრის ნაგებობანი მეცხრე საუკუნიდან მეთხუთმეტემდე შენდებოდნენ და არქიტექტურული სტილიც სხვადასხვაა მათი. სხვა მცირე აღმოჩენებს კი ჩვეულებრივი მოვლენაა გათხრების წარმოების დროს, ალბათ მარტო სპეციალისტებისათვისაა საინტერესო და მათი ჩამოთვლით არ შეგაწყენთ თავს.

ლირიკა და არქეოლოგია თითქოს პოლარულად განსხვავებული ცნებებია, მაგრამ ერთი ასეთი შემთხვევაც მოხდა: ეკლესიის აღმოსავლეთ კედელთან გვიანდელი სამარხების პრეპარაციისას (ნაშალი მიწის ფენაში) აღმოჩნდა მეომრის ნეშტი, რომელსაც გულის მხრიდან ხერხემალში ჰქონდა ჩარჭობილი ისრის (ქეიბურის) ბუნიკი. ამ ფაქტმა ისეთი სულიერი გზნება გამოიწვია ექსპედიციის წევრებში, რომ შეუძლებელია მისი სიტყვებით გადმოცემა. ნეშტი გადასვენებულ იქნა ეკლესიის ეზოში და ჩვენი მოქანდაკენი სამხატვრო აკადემიიდან ბარელიეფსაც ამზადებენ უცნობი მამულიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

**— რაიმე არსებითი სიახლე ხომ არ არის მოსალოდნელი ექსპედიციის მუშაობაში?**

— სიახლე არის, კერძოდ, ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედთან“ შეიქმნა ქართველ მხედართა კლუბი, რომელიც თავისი საცხენოსნო რაზმით წელს შემოუერთდება ექსპედიციას, ხოლო „იმედის“ წევრები იმუშავებენ სტუდენტებთან ერთად მის აღდგენით სამუშაოებზე, მით უმეტეს, რომ ოთხი წლის წინ შორეთის ექსპედიციის პირველი რაზმის წევრი ჯერ კიდევ 1987 წელს იყო ასოციაციის ახლანდელი თავკაცი დავით ხომასურიძეც. საცხენოსნო რაზმი საშუალებას მოგვცემს საბოლოოდ და დაწვრილებით შევისწავლოთ რეგიონი, გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად აღვადგენთ ეროვნული საცხენოსნო სპორტის მივიწყებულ სახეობებს, ექსპედიციის მუშაობის დასრულების შემდეგ კი მიზნად გვაქვს ცხენებით ვიმოგზაუროთ კავკასიონის ქედის გარშემო ჩრდილოეთ კავკასიის გავლით, რაც კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გახდება ჩვენი ძმობისა ჩვენს სისხლისმიერ ნათესავებთან: ჩეჩნებთან, ინგუშებთან, ყაბარდოელებთან, ლეკებთან და აფსარუებთან; კავკასიელ ერთა თავისუფლების მიღწევა ვფიქრობ მხოლოდ რასიული ერთიანობის ნიადაგზე არის შესაძლებელი. სწორედ ამ მოსაზრებამ განაპირობა ჩვენი ცდა ვიმოგზაუროთ გორგასლიან-დავითიანი დროშის ნაკვალევზე და იმიერკავკასიელებთან ერთად გავიხსენოთ თუ როგორ იბრძოდნენ ერთად დამპყრობლების წინააღმდეგ კავკასიის მთებში შამილი და ალექსანდრე ბატონიშვილი.

აქვე კონკრეტული წინადადებაც შემომაქვს, საქართველოს დედაქალაქს უეჭველად დაამშვენებდა კავკასიის ეროვნული გმირის, მთის არწივის — შამილის მოედანი.

# დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება





# ასპინძისხევის ექსპედიციის სპონსორი

# პატარა ქართველს მკურნალობენ მაინცში



(დასასრული)

...ებმა ...იაწუხა, საბჭოთა ექიმებმა ...აფერი გააწყვეს.

26 მაისს დათო მშობლებთან — რუსუდან და ნესტორ ჩიქოვანებთან ერთად მაინცის საუნივერსიტეტო კლინიკაში შემოვიდა. ეს კი შემდეგნაირად მოხდა: თბილისში ბავშვთა SOS სადგურში მძიმე სამედიცინო შემთხვევაზე ყურადღება მიაქცევინეს ერთ არქიტექტორს ბად ვალდზეედან. მან კი ერთი კარგი მაინცელი ნაცნობი გაიხსენა — დრ. ანეტე ქვაისერლუფტი. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სასწრაფოდ დაუკავშირდა პროფ. დრ. იურგენ შპრანგერს — საბავშვო კლინიკის დირექტორსა და დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს ძვლის მედიცინაში.

მაინცელი პროფესორი უყოყმანოდ დათანხმდა დავითის მიღებაზე. ეს შემოთავაზება ჩიქოვანებმა ბერლინსა და თვით აშშ-საც კი ამჯობინეს. მამა ნესტორი: „ბედნიერი ვარ, რომ ასეთი არჩევანი გავაკეთეთ, რასაც აქ განვიცდით, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს“.

ეს იმიტომ, რომ მაინცელ მედიკოსებს ძალუძთ მისი პატარა ვაჟიშვილის გადარჩენა. დადგინდა, რომ ძვლების სისუსტის მიზეზი ინფექცია, რომელიც ტვინის დაავადებასთან არის დაკავშირებული, ძვლები ბაქტერიებისაგან არის „დაღრღნილი“, ამის შედეგია კრიზები, მტანჯველი ტკივილები. ერთ წელიწადში ტკივილები მთლიანად წარსულს ჩაბარდება.—იმედოვნებენ მაინცის კლინიკებში. ასე დიდხანს გრძელდება მისხალ-მისხალ აწონილი სამკურნალო პროგრამა. როცა ჩიქოვანები 22 ივნისს სამშობლოში დაბრუნდებიან, დავითს უკვე გავლილი ექნება თერაპიის პირველი ფაზა: წვეთოვანი გადასხმები. ამის შემდეგ მკურნალობა მედიკამენტებით უნდა გაგრძელდეს, წამლებით სავსე ყუთი უკვე იკვრება.

მაგრამ ექვსი თვის შემდეგ დავითი კვლავ ჩამოვა მაინცში გასასინჯად: ოჯახს ფინანსური საზრუნავი აღარა აქვს, ერთი ქართული გაზეთის საქველმოქმედო აქციამ (დედა რუსუდანი: „ეს პრაქტიკაშია ჩვენს რესპუბლიკაში“) შესაძლებელი გახადა მკურნალობის ჩატარება, ხოლო თუ რამ კიდევ შეიქმნა საჭირო, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მაინცის კლინიკები დაამატებენ.

**აგატა ფუნკე**
**რედაქციის წევრი**

**ხურათზე: მალე დავითი მთლად გამოჯანმრთელდება. კლინიკაში ყოფნის დროს კი მანქანებთან და ნაჭრის ცხოველებთან თამაშში ატარებს მუდამ მშობლების სიახლოვეს, რომლებიც თან ახლავს მას.**

**„მაინცერ ცაიტუნგი“. 16. VI. 1990, გვ. 13.**

**საშა კოპის ფოტო**



გვერდის სპონსორები არიან საქველ-მოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“



# გვახსოვდეს: ქართული სახელმწიფო ენაა

ახლა, როდესაც ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხი ასე მწვავედ დგას ჩვენს წინაშე, ყოველი ქართველის ვალია მცირეოდენი წვლილი მაინც შეიტანოს ამ პრობლემური საკითხის გადაჭრაში. მთაწმინდის ბინსოცბანკის ჩვენი განყოფილება ჩამოყალიბების პირველივე დღიდან მომსახურეობაში მყოფ ორგანიზაციებთან, საწარმოებთან და კოოპერატივებთან ძირითად საქმიანობას ახორციელებს ქართულ ენაზე. რაოდენ სავალალოა, როდესაც ქართული გვარის მქონე პიროვნება გვხვდება წერილი მოიტანოს რუსულ ენაზე ან რაიმე სხვა საბუთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მშვენივრად მეტყველებს ქართულად. ითხოვენ საბუთს, რომელმაც უფლება მოგვცა ასე კატეგორიულად მოგვეთხოვა ქართულ ენაზე ბანკის ყოველგვარი ოპერაციების წარმოება რესპუბლიკის შიგნით. ნაწილი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ზემოხსენებულის გამო, გამოთქვამენ უკმაყოფილებას, მოითხოვენ ჩვენთან ანგარიშის დახურვას და სხვა ბანკის განყოფილებაში გადასვლას. კერძოდ, საქართველოს სსრ სავაჭრო სამრეწველო პალატა, გამოფენების დირექცია (დირექტორი — ნოდარი გოგობერიძე, ბუღალტერი ტატიანა კუბანეიშვილი). როგორც ჩანს, ბანკის ერთი განყოფილება იბრძვის ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, ხოლო მეორე თავისი ინერტულობის გამო, ანელებს ამ პროცესს.

სპეციალიზირებული ბანკების გამგეობიდან წერილები, ინსტრუქციები, მითითებები და დავალებები უმეტეს შემთხვევაში მოდის რუსულ ენაზე, რის გამოც ჩვენ იძულებული ვართ, ვთარგმნოთ დავალებები (რაზედაც გვეკარგება სამუშაო დროის დიდი ნაწილი) და ქართულად გავაგზავნოთ პასუხი სათანადო ინსტანციებში.

ქართული ენის „სახელმწიფო პროგრამის გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა იმისათვის, რომ ორგანიზაციათა, საწარმოების ხელმძღვანელობას დაემთავრებინა გარდამავალი პერიოდი და თავიანთ კოლექტივებში დაემკვიდრებინათ საბუთების ქართულ ენაზე წარმოება.

**ნანა გაგუა,**
**მთაწმინდის ბინსოცბანკის თანამშრომელი.**

---

### თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის

# სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1990–91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**1. „სკოლამდელი აღზრდა“ (ქართული სექტორი)**

**2. „მუსიკალური აღზრდა“ (ქართული სექტორი)**

სასწავლებელი ამზადებს აღმზრდელებს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის და სიმღერა-მუსიკის მასწავლებლებს.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 30 წლის ასაკამდე ახალგაზრდები.

მისაღები გამოცდების წინ აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ ჩათვლა ფიზიკურ აღზრდაში საკონტროლო ნორმატივების მიხედვით.

სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე შემსვლელნი გამოცდების დაწყებამდე გაივლიან მუსიკალურ-სმენითი მონაცემების შემოწმებას (სმენა, რიტმი, მეხსიერება). ის ვინც ვერ გამოავლენს სათანადო მუსიკალურ მონაცემებს მისაღებ გამოცდებზე არ დაიშვება.

მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

**სკოლამდელი აღზრდა:**

**1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება);**

**2. საქართველოს ისტორია (ზეპირი);**

**მუსიკალური აღზრდა:**

**1. სპეციალობა-ფორტეპიანო;**

**2. სოლფეჯიო-კარნახი; სოლფეჯიო-მუსანბანი (ზეპირი);**

**3. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა-თხზულება);**

**4. საქართველოს ისტორია (ზეპირი);**

პირები რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი არასრული საშუალო სკოლის ბაზაზე წარჩინების დიპლომით სასწავლებელში ჩაირიცხებიან უგამოცდოდ. აღნიშნულ პირთაგან სკოლამდელი აღზრდის სპეციალობაზე შემსვლელნი არ თავისუფლდებიან მუსიკალურ-სმენითი მონაცემების შემოწმებისაგან, ხოლო მუსიკალური აღზრდის სპეციალობაზე შემსვლელნი გამოცდისაგან სპეციალობაში.

აბიტურიენტის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი განისაზღვრება სასწავლო წლის დასაწყისისათვის ერთობლივად, მუშაობაში წყვეტილობის მიუხედავად. სეზონური მუშაობის დრო შედის მუშაობის საერთო სტაჟში.

კოლმეურნეობის წევრებისათვის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი განისაზღვრება კოლმეურნის შრომის წიგნაკის ჩანაწერის საფუძველზე.

განცხადებები მიიღება სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად, შემდეგი საბუთების დართვით:

**1. განათლების მოწმობა (ატესტატი, დედანი);**

**2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086-უ);**

**3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ;**

**4. ოთხი ფოტოსურათი (ზომა 3X4-ზე);**

**5. პასპორტი (დაბადების მოწმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს პირადად;**

საბუთები მიიღება 1 ივლისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 1-00 საათიდან 15-00 საათამდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

მისამართი: ალ. ჭავჭავაძის ქ. № 19-ა.

---

**ჩვენი საჭირისუფლო**

# ვარიანელთა წერილების კვალდაკვალ

**გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობიდან რედაქციამ ვარიანელ და ახალდაბელ მშრომელთა რამდენიმე წერილი მიიღო. „ხალხი ბოიკოტს უცხადებს სამუშაოს, რადგან მოსავლის გეგმები ძალიან მაღალია და დღემდე სოფელში იჯარული მეთოდებით მუშაობის არც ერთი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული“ — წერდნენ ავტორები. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი გორს ესტუმრა.**

ჩვენი ჩასვლა ვარიანში გლეხთა კავშირის ყრილობას დაემთხვა. აქ უფრო მეტი გულისტკივილი გამოითქვა, ვიდრე წერილში იყო ნათქვამი. აღმოჩნდა, რომ ამ სოფლის მეურნეობაში დასახლებულებს საერთოდ არა აქვთ პირად სარგებლობაში მიწის ნაკვეთები.

მართალია, სოფელში იჯარა დამკვიდრდა, მაგრამ იგი მძიმე ტვირთად აწევს ვარიანელებს, რადგან ხეხილის ბაღები გაფუჭდა. სახელდობრ — გაზაფხულის ყინვებმა ძლიერ იმოქმედა წლევანდელ მოსავალზე. წელს, ვარიანელები, ალბათ, სანახევროდაც ვერ შეასრულებენ გეგმებს, ხოლო საიჯარო ხელშეკრულებები დღემდე გაფორმებული არ არის...

ყრილობაზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები; ითქვა იმ მიზეზებზეც, რატომაც გაურბიან სოფელს.

— ანაზღაურება ძალიან დაბალია. თვეში 40-50 მანეთი გვაქვს ხელფასი. ადრე ოჯახის საარსებო წყარო იყო ბაღებში შეთესილი კომბოსტოს მოსავალი. დღეს უკვე მოიჯარეებს აღარ აძლევენ საშუალებას, ბაღებში დათესონ კომბოსტოს მოსავალი. არც საკარმიდამო ნაკვეთი გვაქვს სახლი რომ ავიშენოთ. მთავრობის ბინებში ვართ, რომელსაც 1966 წლიდან რემონტი არ ჩატარებია, — თქვა ახალგაზრდა მუშამ, ოთარ გასაშვილმა.

ყრილობა მიწათსარგებლობის წესებსაც შეეხო. პენსიონერმა იური ბერიკაშვილმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ მუდმივ სარგებლობაში მიწის ნაკვეთი არ მისცეს და ამიტომაც, მისმა უფროსმა ვაჟმა, მამის წინააღმდეგობების მიუხედავად, დედის სამშობლოს, უკრაინას მიაშურა საცხოვრებლად. მეორე ვაჟიც ასევე აპირებს, თუ ნაკვეთს არ გამოუყოფენ...

— ეს მუშათა კოლონიაა, სანამ ნორმალური პირობები არ იქნება, ერთი დღეც არ ვიმუშავებთ, — გამოაცხადეს ახალგაზრდებმა.

სიტყვაში გამოსულმა მშრომელებმა აღნიშნეს, რომ უმიწობით გლეხები პროდუქციის არა მწარმოებლები, არამედ მომხმარებლები გახდნენ. ქალაქში ყიდულობენ პურს და ბოსტნეულს. მათი მიწები კოოპერატივებმა ჩაყლაპა. მართლაც, სოფელში რომ შეხვალთ, თვალში მოგხვდებათ კოოპერატივების კომპლექსი. არ იფიქროთ, რომ ეს ვარიანელებისაა, იგი „მტკვარწყალმშენის“ დამხმარე მეურნეობაა. აქვე ნახავთ მეორე კოოპერატივს, გორელების გაკეთებულ საკალმახეს. უზარმაზარი ტერიტორია ჩაუყლაპავს ცხინვალის წყალსადენს, იქვეა სამხერხაო და ქვის საწარმო. არც ეს ეკუთვნის ვარიანელებს.

ამიტომაც, დიდი იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფლის, ვარიანის მკვიდრმა მოსახლეობამ ყრილობაზე კატეგორიულად მოითხოვა, რომ კოოპერატორებმა დატოვონ ვარიანის ტერიტორია და ის გადაეცეს სოფელს, შემცირდეს გეგმები, გამოიყოს საკარმიდამო ნაკვეთები. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადეს გლეხებმა, ვიმუშავებთ მეურნეობაში, შევქმნით პროდუქციას, მაგრამ სახელმწიფოს არ მივყიდით.

ვარიანის შემდეგ გლეხთა კავშირის მესვეურები სოფელ ახალდაბას ესტუმრნენ (ახალდაბაც ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში შედის). ამ ორ სოფელს პრაქტიკულად ერთნაირი პრობლემები აწუხებს. მოსახლეობა აღშფოთებულია — 600 ჰექტარი მიწა ჩამოართვეს და გადასცეს მეზობელ სოფლებს — ორთაშენს და თედოწმინდას. 500 კომლს, 1605 კაცს, 109 ჰექტარი ბაღი აქვს სულის მოსათქმელად. ფაქტობრივად, სოფელი უმიწოდ არის დარჩენილი. ამას დავუმატოთ მელიორაციის კოოპერატივები, რომელმაც მთლიანად გააბინძურა სოფელი. ერთი მხრიდან სოფელს რკინიგზამ შეუტია და არის ასე ალყაში მოქცეული სოფელი, მელიორაციის კოოპერატივებით და რკინიგზით.

ახალდაბა მზარდი სოფელია. ქართლის ზონაში ის ერთადერთია მრავალშვილიანი ოჯახებით... „რა მოხდება ხვალ, ჩვენს შვილებს მიწა სულ არ ექნებად?“ — კითხულობენ გლეხები.

ახალდაბელი მოსახლეობა მოითხოვს მიწების დაბრუნებას და კოოპერატივების გაუქმებას.

რამდენიმე თვის წინ ვარიანელმა და ახალდაბელმა მშრომელებმა წერილი მოიტანეს პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანთან სანდრო კავსაძესთან. ამჯერად ეს წერილი აგროსამრეწველო გაერთიანებაშია გაჩერებული. მშრომელები პასუხს ელიან.

**მზია ათაბეგაშვილი,**
**ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.**
**გორის რაიონი.**

---

## წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აცხადებს ბავშვთა ნახატების კონკურსს თემაზე:

## „ომის მსხვერპლთა დასაცავად“ დევიზით „დაიცავით ბავშვები, ქალები, მოხუცები“.

კონკურსის მონაწილეთა ასაკი განისაზღვრება 4-დან 14-წლამდე. ნახატის მასალად შეიძლება გამოყენებული იქნას ნებისმიერი მასალა, აკვარელი, ზეთი, ფერადი ფანქრები, გრავიურა, პასტელი. ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 55X55 სმ.

ნახატის მეორე მხარეს დაიწერება გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სქესი, ბინის მისამართი, ნახატის თემა და ნაწარმოების შესრულების თარიღი.

ნახატები წარმოადგინეთ 1990 წლის 29 აგვისტომდე მისამართით: 380002 ქ. თბილისი, [illegible] ლოვის ქ. № 15, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი.

კონკურსში გამარჯვებულნი იმოგზაურებენ ომისაგან დაზარალებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, ან წითელი ჯვრის საზოგადოების საერთაშორისო კომიტეტის შტაბბინას დაათვალიერებენ ქ. ჟენევაში, ან ერთი კვირით იმოგზაურებენ იაპონიაში.

კონკურსისათვის წარმოდგენილი ნახატები არ რეცენზირდება და არ უბრუნდება ავტორებს.

ნახატები [illegible] და წარმოადგინოთ ჩარჩოს [illegible]მე.

---

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700608 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**

---

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверіели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00916

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380098 მ. კოსტავას ქ. № 14.